ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 2015 №259 (6879) ფასი: 30 თეთრი



## ჩემპიონთა ლიგა
გვ.2

### ეკვატორს გადასცდა

სტატისტიკა, ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა – ბატე | 1.08 | 9.0 | 34.0 |
| რომა – ლევერკუზენი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| ბაიერნი – არსენალი | 1.4 | 5.0 | 7.0 |
| ოლიმპიაკოსი – დინამო (ზ) | 1.44 | 4.2 | 8.0 |
| ჩელსი – დინამო (კ) | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| მაკაბი – პორტუ | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| ლიონი – ზენიტი | 2.37 | 3.1 | 3.1 |
| გენტი – ვალენსია | 3.5 | 3.3 | 2.1 |

# მოსამართლე ურთმელიძემ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა

ნიკა გვარამია: „მინიმუმ არჩევნებამდე ჩვენ ამ პროცესებს აუცილებლად გავჭიმავთ“



გვ.2

## რატომ აქვს რუსთავი 2-ს საკონსტიტუციო სასამართლოს იმედი
გვ.2



## მიხეილ მაჭავარიანი: „ეს ხელისუფლება თავად გადატრიალდება“
გვ.3

„ბარემ ერთ დღეს გამოაქვეყნეთ ყველა ჩანაწერი, ნუღარ გვაწვალებთ“





გვ.4

## ნუგზარ წიკლაური: „არაფრის უარყოფას არ ვაპირებ“

ნაციონალებზე მორიგი ფარული ჩანაწერი გამოქვეყნდა

## კახა კუკავა: „ივანიშვილი საარჩევნოდ კომპრომატებს დაარიგებს და არა — ფულს“



გვ.4



გვ.5

ISSN 1987-9385

## კონსტანტინე გამსახურდია: „ახალ პარლამენტში ხუთი ოპოზიციური ძალა შევა“



გვ.5

## თამარ ჩხეიძე: „ჩანაწერებში გადატრიალებაზე საუბარი არ არის“

# მოსამართლე ურთმელიძემ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა

## ნიკა გვარამია: „მინიმუმ არჩევნებამდე ჩვენ ამ პროცესებს აუცილებლად გავჭიმავთ“

**გუშინ, 3 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ რუსთავი 2-ის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაცხადა.**

მისი გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წილების 60% ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, 40% კი მის საკუთრებაში არსებულ შპს პანორამას დაუბრუნდება.

გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ რუსთავი 2-ის ყველა ადვოკატმა, ერთის გარდა, სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა არხის საავტორო უფლებების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. როგორც ცნობილია, ქიბარ ხალვაში ზიანის ანაზღაურების მიზნით 18 მილიონ დოლარს ითხოვდა.

ამასთან, მოსამართლემ ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებები ბათილად გამოაცხადა.

***

– დღეს საქართველოში გაფორმდა ბიძინა ივანიშვილის ბნელი, ევრაზიული ტიპის დიქტატურა, გაფორმდა დიქტატურა, რომელსაც საფუძვლად უდევს უსამართლობა, უკანონობა. ეს არის ძალადობა სასამართლოს ხელით. თამაზ ურთმელიძე მოსამართლე არ არის. ის აუცილებლად აგებს პასუხს იმისთვის, რაც დღეს გააკეთა. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, – განაცხადა რუსთავი 2-ის ადვოკატმა ზაზა ბიბილაშვილმა.



მისივე თქმით, მოხდა იმ გარიგებების გაბათილება, რომლითაც ქიბარ ხალვაშმა გაყიდა თავისი წილი 10 წლის წინ და დღევანდელი მესაკუთრეები, რომლებსაც მასთან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ, ამოიშალნენ რეესტრიდან, როგორც მესაკუთრეები და ქიბარ ხალვაშის გაფორმება მოხდა, როგორც მესაკუთრის.

– ცხადია, ჩვენ ამ სასამართლო გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, გამოვიყენებთ ყველა პროცედურულ ნორმას, რომ ეს დიქტატურა, ეს სიბნელე, ეს უკანონობა და უსამართლობა დავამარცხოთ, – განაცხადა ადვოკატმა.

ბიბილაშვილის განცხადებით, ქიბარ ხალვაშს მოუწევს, დაელოდოს ამ საქმის სრულად დასრულებას.

– საუბარია სააპელაციო, შემდეგ საკასაციო ეტაპზე. შემდეგ იქნება შესაძლებელი ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულება, – აღნიშნა ბიბილაშვილმა.

***

რუსთავი 2-ის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში, შესაძლოა, ქიბარ ხალვაშის მხარემაც გაასაჩივროს.

როგორც ხალვაშის ადვოკატმა პაატა სალიამ სასამართლო პროცესის შემდეგ განაცხადა, მოსამართლემ მათი 7 მოთხოვნიდან მხოლოდ 2 დააკმაყოფილა.

– მოგეხსენებათ, ჩვენი სარჩელი სრულად არ დაკმაყოფილდა. მას შემდეგ, რაც გავეცნობით დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, გადავწყვეტთ, ჩვენც ხომ არ გავასაჩივროთ სააპელაციო სასამართლოში, იმ ნაწილში, რომელიც არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება პროცედურებს სააპელაციო სასამართლოში, ისინი გაცილებით შემოკლებულია, – აღნიშნა სალიამ.

მისივე თქმით, წილების ქიბარ ხალვაშსა და მის კომპანია პანორამაზე აღრიცხვის გადაწყვეტილება ძალაში მხოლოდ სასამართლოს სამი ინსტანციის გადაწყვეტილების შემდეგ შევა.

– მოწინააღმდეგე მხარე, დარწმუნებული ვარ, ამ გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს. შემდგომ არის ზემდგომი უზენაესი სასამართლო და, როდესაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გამოვა, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, ქიბარ ხალვაშისა და შპს პანორამას სახელზე აღირიცხოს ეს წილები უკვე საჯარო რეესტრში, – განაცხადა სალიამ.

მოპასუხე მხარეს მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება უახლოესი თვე-ნახევრის განმავლობაში შეუძლია.

***

– მინიმუმ არჩევნებამდე ჩვენ ამ პროცესებს აუცილებლად გავჭიმავთ და მერე, დარწმუნებული ვართ, ბიძინა ივანიშვილს ამ ქვეყანაში ველარ ვიხილავთ.

ამის შესახებ რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ განაცხადა.

მისი თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილებას არ აქვს სამართლებრივი და პრაქტიკული ფასი, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით ქიბარ ხალვაში კომპანიაში ვერ შევა.

– მაგრამ ეს რუსთავი 2-ის მეო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# რატომ აქვს რუსთავი 2-ს საკონსტიტუციო სასამართლოს იმედი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ ბოლო წლების ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ პროცესზე გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა და, შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანია რუსთავი 2 ყოფილ მფლობელს ქიბარ ხალვაშს დაუბრუნა.**

უფრო ზუსტად კი რუსთავი 2-ის წილების 60% უშუალოდ ხალვაშს, 40% კი მის საკუთრებაში არსებულ შპს პანორამას დაუბრუნდება.

აქვე გეტყვით, რომ მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა არხის საავტორო უფლებების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ხალვაში სარჩელის ამ პუნქტით 18 მილიონი ლარის დაბრუნებას ითხოვდა, რაზეც უარი ეთქვა.

წესითა და რიგით, ტელეკომპანიის ადვოკატებმა გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში უნდა წაიღონ და გაასაჩივრონ, შემდეგ – უზენაესში, მაგრამ, ნურას უკაცრავად – ისინი პირდაპირ საკონსტიტუციო სასამართლოს მიადგნენ.

ერთი შეხედვით, არაორდინარული და ალოგიკური გადაწყვეტილება სავსებით ორდინარული და ლოგიკური გახდება მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის შინაარსს გაეცნობით. ამ სარჩელით რუსთავი 2-ის წარმომადგენლები, არც მეტი, არც ნაკლები, კოდექსის ორი მუხლის შეჩერებას ითხოვენ, უფრო კონკრეტულად კი მათ სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობა და დროებით შეჩერება სურთ.



54-ე მუხლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, ხოლო 55-ე მუხლში წერია, რომ ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

ეს ყველაფერი კი ყურადსაღები იმიტომ გახლავთ, რომ ეს სწორედ ის მუხლებია, რომლებზე დაყრდნობითაც ხალვაში ითხოვდა ტელეკომპანიის წილების დაბრუნებას, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ დაუკმაყოფილა კიდეც.

უფრო გასაგებად რომ ავხსნათ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამ ნორმების დროებითი შეჩერების გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აზრს კარგავს და აზრს კარგავს იმიტომ, რომ ის მუხლები, რომლებზე დაყრდნობითაც მომზადდა ხალვაშის სარჩელი, დროებით შეჩერდება.

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, ალბათობა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულ სარჩელს დააკმაყოფილებს, ძალიან დიდია. დიდია იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, ისევე, როგორც სასამართლო კოლეგიის აბსოლუტური უმრავლესობა, წინა ხელისუფლების მიერ არის ხელდასხმული და მათი მითითებები არაერთხელ შეუსრულებიათ, უფრო სწორად, მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილებები არაერთხელ გამოუტანიათ და ამაში მათთვის ხელი, მაგალითად, მერაბ ტურავას ავადმყოფობასაც არ შეუშლია.

– კანონსაწინააღმდეგო, ამორალური გარიგების საკანონმდებლო ნორმაზე დაყრდნობით უამრავი სარჩელია საქართველოს საერთო სასამართლოებში, ზოგი განხილვის სტადიაშია, ზოგიერთზე კი გადაწყვეტილება გამოსულია უკვე და გასაჩივრებულია სხვადასხვა ინსტანციაში. ამ მუხლის შეჩერება იქნება მნიშვნელოვანი კოლაფსი მთლიანად მართლმსაჯულების სისტემისთვის, იმიტომ, რომ უამრავი სარჩელია ამ მუხლზე დაფუძნებული სხვადასხვა გარემოებით, სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შორის. აუცილებელია, რომ მსგავსი მუხლი არსებობდეს, – ამბობს ადვოკატი დავით ასათიანი.

ადვოკატის თქმით, ეს მუხლი არსებობს ევროპული სამართლის მქონე და გერმანული სამართლის ოჯახის ყველა ქვეყანაში.

– ამორალური, კანონსაწინააღმდეგო გარიგება რომ ბათილია, ეს სამოქალაქო ბრუნვის ძირითადი პრინციპია. ამ ნორმის გაუქმება, არაკონსტიტუციურად ცნობა რეალურად გამოიწვევს სამოქალაქო ბრუნვის აღრევასა და დისბალანსს. ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, კანონსაწინააღმდეგო, ამორალური იყოს გარიგება და მისი ბათილად ცნობის საკანონმდებლო ნორმა არ არსებობდეს, – ამბობს დავით ასათიანი და ძნელია, არ დაეთანხმო.

აღნიშნულ სარჩელსა და წარმოებაში მის სასწრაფო მიღებაზე გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამს კიდევ ერთი ცნობილი ადვოკატი ლია მუხაშავრია:

– როდესაც წინასწარ ხდება ნორმის შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანისთანავე, ეს გვაფიქრებინებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსარჩელეთა დასაბუთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერდა და გასაჩივრებულ ნორმას საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერებდა.

ადვოკატის აზრით, ამ შემთხვევაში იკვეთება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მეტ-ნაკლებად მოსარჩელეებს ემხრობა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს პროცესები სწრაფად მიმდინარეობს, მაშინ როცა სხვა საქმეები დიდხანს განიხილება ხოლმე, უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთავი 2 საკონსტიტუციო სასამართლოსთან შეთანხმებით მოქმედებს.

– თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 268-ე მუხლის მოქმედება შეჩერებულია და შეიძლება, სასამართლომ ის ანტიკონსტიტუციურად გამოაცხადოს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბოლოოდ ქიბარ ხალვაში ვერ დაიბრუნებს საკუთრების უფლებას, თუკი მას ამისი სამართლებრივი საფუძველი გააჩნია და ხელისუფლებასაც ეს ხელს აძლევს, მაგრამ სხვა საკითხია, რისთვის უნდა დროის მოგება რუსთავი 2-ის ხელმძღვანელობას, – ამბობს ლია მუხაშავრია.

მისი თქმით, ეს კითხვა უკავშირდება შეთქმულებას და გადატრიალების შესახებ ე.წ. საუბრებს, ამიტომ, მთლიანობაში თუ შევხედავთ, სამართლებრივი საშუალებების გამოყენება ბინძური მიზნების მისაღწევად ძალიან საშიშია და კიდევ ერთ მახინჯ ტენდენციას უდებს საქართველოში საფუძველს.

– აქამდე უფლებადამცველები საკონსტიტუციო სასამართლოს ვიყენებდით ადამიანის უფლებების დასაცავად და დასამკვიდრებლად და არა იმისთვის, რომ ვინმემ სახელმწიფო გადატრიალება მოასწროს და მერე ეს განახორციელოს კიდეც, – აცხადებს ლია მუხაშავრია.

საყოველთაო მოსაზრებით, სასწრაფო წესით სარჩელის წარმოებაში მიღება იმის დასტურია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებას ასევე სასწრაფო წესით მიიღებს.

აკი თქვა კიდეც რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ, რომ პროცესს მინიმუმ არჩევნებამდე გააჭიანურებენ და მერე...

ბარიკადებსა და ბოევიკებზე ინსტრუქცია მიღებულია და რაღა მერე?!

**ნინო ბარბაქაძე**

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მიხეილ მაჭავარიანი: „ეს ხელისუფლება თავად გადატრიალდება“

## „ბარემ ერთ დღეს გამოაქვეყნეთ ყველა ჩანაწერი, ნუღარ გვაწვალებთ“

შორენა მარსაგიშვილი

**ტოვებს თუ არა ხალხი ნაცმოძრაობას, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების მიერ განხორციელებული მოსმენები და დაანონსებული გადატრიალებები, არის თუ არა სააკაშვილის ადგილი ციხეში? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**

***– მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის ადგილი არის ციხეში. ეთანხმებით მის ამ განცხადებას?***

– რას უნდა დავეთანხმო, კაცო? მის ამ განცხადებაზე მთელ ევროპას გააჟრჟოლა.

***– იმათ რატომ გააჟრჟოლათ?***

– ღარიბაშვილი ზოგადად, თავშეუკავებელი, გაუწონასწორებელი და გამოუცდელია. ის ასეთ მკვახე განცხადებებს პირდაპირ აკეთებს. ეს ადამიანი თავად აჩენს განცდას, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ნიშნით ხდება დევნა. სინამდვილეში ასეც არის, მაგრამ დასავლეთს ამის გასარკვევად არასამთავრობოების დასკვნები აღარ სჭირდება. მოუსმენენ ღარიბაშვილს და მათთვის ნათელი ხდება საქართველოში არსებული სურათი.

შემთხვევითი არ იყო 2 ნოემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილის განცხადება. მისი თქმით, მთავარია ოპოზიციის დაცვა, გამოხატვის თავისუფლება და ა.შ. ჩვენს დასავლელ პარტნიორებს უკვე აქვთ იმის შიში, რომ ხელისუფლება პირდაპირ ებრძვის ოპოზიციას, რითაც სახელმწიფოს ასუსტებს.

ღარიბაშვილის განცხადება ხომ საშინელება იყო, მაგრამ ამაზე სახიფათოდ მომეჩვენა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2 დღის წინ გავრცელებული განცხადება. ეს უწყება რეკომენდაციებს გვიწევს ჩვენ და გვირჩევს, ჩვენი მოსაზრებები სოციალური ქსელით არ დავაფიქსიროთ, რადგან ეს მათ სცენარს ეჭვქვეშ აყენებს. ამ დღეებში დადასტურდა, რისთვისაც შეიქმნა ეს უწყება.

***– რისთვის შეიქმნა?***

– სუსი მხოლოდ იმიტომ შექმნეს, რომ მისი დახმარებით მომხდარიყო პოლიტიკური ოპონენტების დევნა. ამაზე ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვსაუბრობდით, როცა ეს სამსახური იქმნებოდა.

სატელეფონო ჩანაწერები, რომლებიც ამ დღეებში გავრცელდა, მოპოვებულია უსაფრთხოების სამსახურის მიერ. ეს ალმაშფოთებელი ფაქტია, მაგრამ, ერთი მხრივ, კარგიც არის, ეს ჩანაწერები რომ გამოქვეყნდა.

***– კარგი რით არის?***

– ამ ჩანაწერებიდანაც კი ჩანს, რომ ჩვენ არც ხელისუფლებაზე ვაპირებთ შეტევას და არც შეიარაღებულ გადატრიალებას ვგეგმავთ. მხოლოდ რუსთავი 2-ის დაცვაზე ვსაუბრობთ. ამის შესახებ არაერთხელ გაგვიკეთებია საჯარო განცხადებები. ახლაც ვაცხადებ, რომ ნაციონალური მოძრაობა სიტყვის თავისუფლებას დაიცავს.

„ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით, ნაციონალური მოძრაობა არავის ესხმის თავს. 10 ოქტომბრიდან დღემდე ჩვენი 63 ოფისია შეღებილი და დარბეული. ეს ყველაფერი ირაკლი ღარიბაშვილის მაშინდელ განცხადებებს მოჰყვა. იმას, რაც ახლა ხდება, ჩვენ კარგა ხანია, ველოდით.

ამ ხელისუფლების მთავარი მიზანი ნაციონალური მოძრაობისა და რუსთავი 2-ის განეიტრალებაა. ამაში მათ ქიბარ ხალვაში ეხმარება. მე ძალიან კარგად მახსოვს, როდიდან გახდა ქილერი ქიბარ ხალვაში მედიამაგნატი.

***– ქილერი რატომ არის ხალვაში?***

– თავისუფალი ტელევიზიის მკვლელია და ქილერია, აბა, რა არის! მან ყველაზე უკეთესად იცის, რა მოხდა 2004 წელს. ისიც კარგად იცის, რომ არაფერი გადაუხდია.

***– ის კაცი ამბობს, გადავიხადეო.***

– ეს არის ტყუილი, ამტკიცებს, ფული ქეშად გადავიხადეო. როცა ჰკითხეს, ვის გადაუხადეო, პასუხობს, ის კაცი მკვდარიაო. აბა, ახლა დავფიქრდეთ, ვის ინტერესებშია, ეროსი კიწმარიშვილი ცოცხალი რომ აღარ არის. ეროსი ხშირად ამბობდა, რუსთავი 2-ზე როცა ლაპარაკობენ, მე შემომხედონ თვალებში და ისე ისაუბრონო.

ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, ქილერ ხალვაშის ხელით მოეკლა თავისუფალი ტელევიზია. ამისთვის მოიძებნა ფარატინა ქაღალდი, რომელიც დოკუმენტის ქსეროასლია და არაფერს ამტკიცებს. თავისუფალი სიტყვის ბედი ახლა იმ მოსამართლის ხელშია, რომელიც დედას არ აღიარებს. თემიდას სკულპტურას თვალები აქვს ახვეული და სასწორი უჭირავს ხელში. ამ შემთხვევაში მოსამართლე ურთმელიძეს ხელში ნაჯახი უჭირავს.

***– ნაჯახი რატომ, დედამისმა სიძეს რომ ჩაარტყა ხელში? დედის ქმედებაზე რატომ უნდა აგოს შვილმა პასუხი?***

– დედის ქმედების გამო არც ვთხოვთ არავის პასუხს, მაგრამ ფაქტია, რომ ურთმელიძე გამოძიებასა და პროკურატურაზეა დამოკიდებული. ასევე იყო პროკურატურაზე დამოკიდებული გიგი უგულავას მოსამართლე. არ მჯერა, რომ გადაწყვეტილება იქნება სამართლიანი და ამიტომაც ვიცავთ რუსთავი 2-ს.

***– ზემოთ ოფისების დარბევა ახსენეთ და ამტკიცებთ, რომ ეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს. ამაზე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ სტილი, რომლითაც ოფისების დარბევა მოხდა, ნაციონალური მოძრაობისთვის არის დამახასიათებელი. მათი თქმით, ნიღბიანი პირები, რომლებიც კედლებს თხუპნიან, თქვენთან უნდა მოვიკითხოთ.***

– ვაიმე, ვაიმე! ეს არის უპასუხისმგებლო და უსირცხვილო განცხადება, მაგრამ ამათგან რა უნდა გაგვიკვირდეს, ხელისუფლებაში ბავშვის სიკვდილის ხარჯზე მოვიდნენ. პატარა ბარბარე რაფალიანცის მკვლელობაც კი ჩვენ დაგვაბრალეს, მერე გაიძახოდნენ, ნაციონალები გვისმენენო.

კარგი, ვთქვათ და ნიღბიანი პირები ნაციონალები არიან, მაგრამ ლადო სადღობელაშვილი ხომ უნიღბოდ გვივარდება, ეგ დაიჭირონ, ან იქნებ ეგეც ნაციონალია? უნიათობა და ყველაფრის სხვებისთვის გადაბრალება მათი სტილია. ახლა გადატრიალების მოწყობასაც გვაბრალებენ.

ჩვენ არც ადრე წავსულვართ სახელმწიფოს წინააღმდეგ და არც მომავალში ვაპირებთ ამის გაკეთებას. ერთადერთი კაცი საქართველოში, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდის, გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილი.

***– რით გამოიხატება, რომ ის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდის?***

– მისი უპასუხისმგებლო განცხადებები ამის ნათელი მაგალითია. გადატრიალებისკენ მოწოდებები იმ ჩანაწერებშიც კი არ ისმის, რომლებიც ამ დღეებში გავრცელდა. ეს ჩანაწერები უკანონოდ არის მოპოვებული და კომპილაციას წარმოადგენს.

ჩვენ მხოლოდ იმაზე ვსაუბრობთ, რომ დავიცავთ ტელეკომპანიას და, თუ შეტევა იქნება, როგორმე გავუძლებთ და მოვიგერიებთ.

***– გავრცელებული ინფორმაციით, ამ აუდიოჩანაწერების გავრცელების შემდეგ ნაცმოძრაობის ნაწილმა პარტიის დატოვების სურვილი გამოთქვა. ეს სიმართლეა?***

– ჩვენ სერიოზული მხარდამჭერები გვყავს და ამ ჩანაწერების გამო არავინ გაგვემიჯნება. ხელისუფლებას ამ ხმების გავრცელებას ურჩევნია, პასუხი აგოს უკანონო მოსმენებზე. ამ დღეებში გამოჩნდა, რომ ყველას უსმენენ. 3 ნოემბერს უკვე დეპუტატების საუბრის ჩანაწერები გამოაქვეყნეს.

ერთადერთი, ვისაც დღეს გადატრიალებაზე აწყობს საუბარი, ხელისუფლებაა. ისინი ამ თემით ცდილობენ, გადაფარონ თავიანთი უნიათობა. იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დავბრუნდეთ, არანაირი გადატრიალება არ გვჭირდება.

***– ეს განცხადება როგორ გავიგოთ?***

– ერთ წელიწადში ეს ხელისუფლება თავად წააგებს არჩევნებს და ყოველგვარი გადატრიალება-გადმოტრიალება ზედმეტია.

***– გინდათ თქვათ, რომ თავად გადატრიალდებიან?***

– თავად გადატრიალდებიან და თან როგორ! 31 ოქტომბერს საგარეჯოში ჩატარებულმა შუალედურმა არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რამდენად მყიფეები არიან მეოცნებეები.

***– თქვენ ხელისუფლებას საყვედურობთ, გადატრიალებაზე საუბრობსო და თქვენ რომ იყავით ხელისუფლებაში, მაშინაც სულ ამ თემაზე არ მიდიოდა საუბრები? უკანონო მოსმენებიც არ დაგიკლიათ.***

– ჩვენს დროსაც ჰქონდა ადგილი უკანონო მოსმენებს და ეს ძალიან ცუდია. ჩანაწერების უმეტესობა ჩვენს დროს კანონიერი გზით იქნა მოპოვებული და დამტკიცდა, რომ ოპონენტები მართლაც რაღაცას ამზადებდნენ.

2007 წელს ერეკლე კოდუამ ჩაწერა ბადრი პატარკაციშვილი. საუბრისას ჩანს, რომ პატარკაციშვილი ითხოვს, იქნებ დავაძინოთ ვანო მერაბიშვილიო. ჩვენს საუბრებში სადმე არის ვინმეს დაძინებაზე საუბარი? მეორე გახმაურებული ჩანაწერი გამოქვეყნდა 2011 წლის მაისში, სადაც ბურჯანაძე და ბიწაძე რუსული სპეცრაზმის შემოყვანაზე საუბრობენ. ეს საუბრები ოფიციალურად შსს-ს მიერ გამოქვეყნდა.

იმის მაგივრად, რომ „ქართულ ოცნებას“ ამ საქმის გამოძიება ბოლომდე მიეყვანა, საქმეები პირიქით აღძრეს.

***– პირიქით როგორ?***

– 26 მაისის საქმეზე ვანო მერაბიშვილს წაუყენეს ბრალი, რომელიც ამ სპეცოპერაციაში საერთოდ არ მონაწილეობდა.

***– შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი 26 მაისის დარბევის ოპერაციაში არ მონაწილეობდა?***

– დიახ, არ მონაწილეობდა. მან ეს ოპერაცია, როგორც შს მინისტრმა, შეათანხმა. ოპერაცია უშუალოდ დაგეგმა და განახორციელა გენერალმა ჯანაშვილმა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მან ვანოს წინააღმდეგ მისცა ჩვენება და ამით შეინარჩუნა თავისუფლება. ციხეში, წესით, ის უნდა იჯდეს, რადგან ყველა მოწმე ადასტურებს, რომ ოპერაცია უშუალოდ ჯანაშვილმა განახორციელა.



მინდა, ხელისუფლებას მივმართო და ავუხსნა, რომ ოპერატიულად მოპოვებულ და უკანონოდ მოპოვებულ ჩანაწერებს შორის დიდი სხვაობაა. რაც მეტ ჩანაწერს გამოაქვეყნებენ, მით უარესი იქნება მათთვის. ახლა სხვა ჩანაწერებს ველოდებით და იქნებ დააანონსონ, რომელ დღეს რა ჩანაწერი დაიდება, ან ერთიანად გაუშვან, რას გვაწვალებენ.

ხელისუფლება დღეს აგონიაშია. სხვანაირად ვერაფრით ავხსნი ჩანაწერების გარშემო არსებულ ისტერიკას. ზემოთ მკითხეთ იმ უკანონო მოსმენებზე, რომლებსაც ჩვენს დროს ჰქონდა ადგილი. მე არ გამიგონია, „ქართულ ოცნებას“ ამ დანაშაულის ჩამდენი დაესაჯოს. ეჭვი მაქვს, რომ ეს ხალხი დღესაც სამსახურშია და უკანონო მიყურადებას ახორციელებენ.

ამიტომაც იყვნენ ჩაფრენილი მოსმენების გასაღებს და ცოცხალი თავით არ დათმეს. სხედან ახლა და ყველაფერს უსმენენ, მერე ამახინჯებენ ჩანაწერებს და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ამტკიცებენ, გადატრიალება მზადდებაო. არადა, სიტყვა არ თქმულა ამაზე.

***– აბა, რატომ გაგემიჯნათ ზურაბ ჯაფარიძე და კიდევ 3 დეპუტატი? ჯაფარიძემ ამ ჩანაწერების გავრცელების შემდეგ ისეთი განცხადება გააკეთა, თითქოს ნაცმოძრაობა ადრეც გეგმავდა ძალადობრივ აქციებს.***

– პირადად მე ასეთი რამის დაგეგმვა არ მახსოვს. შესაძლოა, ეს ჯაფარიძისთვის არის ცნობილი და, ალბათ, მოუყვება ამის შესახებ სათანადო ორგანოებს. თქვენს მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ბატონის აღმასრულებელი მდივნობის დროს ნაციონალურმა მოძრაობამ 2 დიდი მიტინგი ჩაატარა. ორივე მათგანი მშვიდობიანად დავასრულეთ.

# მოსამართლე ურთმელიძემ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშს მიაკუთვნა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მარი კოლექტივისა და ერთადერთი ფუნქციური დემოკრატიული ინსტიტუტის – საკონსტიტუციო სასამართლოს დამსახურებაა და არცერთ ადამიანსა თუ თანამდებობის პირს ამაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის, – განაცხადა გვარამიამ.

რაც შეეხება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, გვარამიას თქმით, ყადაღები ძალაში რჩება, თუმცა ორივე ყადაღა გასაჩივრებულია და გვარამია იმედოვნებს, რომ კომპანია ფინანსური წნეხისგან გათავისუფლებული იქნება.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ არ მივცემთ არავის უფლებას, ფინანსური პრობლემების გამო დავიხრჩოთ და ის შედეგი მივიღოთ, რომელიც ბიძინა ივანიშვილს უნდოდა. ბიძინა ივანიშვილი ამ პროცესში უკვე დამარცხებულია. მან იწვნია როგორც მორალური ზარალი – მისი რეპუტაცია განულებული და მიწასთან გასწორებულია, ასევე პრაგმატული ზარალი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით. მას თავისი რეიდერული შემოვარდნა რუსთავი 2-ში არ გაუვიდა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

***

– დღეს სასამართლოში დამარცხდა მიშა სააკაშვილი, რომელიც უკვე აღარ არის ტელეკომპანია რუსთავი 2-ის პატრონი.

ასე ეხმაურება ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში რუსთავი 2-ის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ხალვაშმა განცხადება გაავრცელა:

– დღეს მოხდა ის, რისიც 10 წელია მჯერა და რისთვისაც ბრძოლა 10 წელია, არ შემიწყვეტია. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება სწორედ სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალური დასაწყისია, – ამბობს ქიბარ ხალვაში.

ის ამბობს, რომ დღეს სულ სხვა რამ აღელვებს. ესაა იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ წლების განმავლობაში სააკაშვილის მიერ დატერორებული ტელეკომპანიების ცრუ და პროპაგანდისტულ მექანიზმში მოყვნენ.

– რუსთავი 2-ის თანამშრომლებზე ვსაუბრობ. მე მათ გუშინაც მივმართე და დღესაც მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო – მე მართლაც კარგად მესმის, რა ტერორისა და ზეწოლის ქვეშ იმყოფებით დღემდე ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მეპატრონე მიხეილ სააკაშვილის მხრიდან. დღეს ეს ტერორი დასრულდა! – აცხადებს ქიბარ ხალვაში.

ის ჰპირდება ჟურნალისტებს, რომ არცერთი პროფესიონალი არ გათავისუფლდება სამსახურიდან. – საქართველოში მართლაც შეიძლება ხარისხიანი, სარედაქციო დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტების მქონე, კრიტიკული და, ამავდროულად, მომგებიანი ტელებიზნესის კეთება და ერთად გავაკეთებთ ამას. სიმართლე ერთია და ის ყოველთვის არა ძალადობის, არამედ თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი ბიზნესისა და თავისუფლების მხარესაა. დღეს სიმართლემ იზეიმა და დიდი ბოროტება დამარცხდა. გილოცავთ! – ნათქვამია ქიბარ ხალვაშის განცხადებაში.

***

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოეხმაურა.

პრემიერის თქმით, ეს არის დავა ორ სუბიექტს შორის და მისთვის მთავარია, რომ საქართველოში მედია არ იყოს პოლიტიზებული.

– ჩემთვის არ არის საინტერესო, ვინ იქნება რუსთავი 2-ის რეალური მფლობელი. ჩემთვის მთავარია, რომ რუსთავი 2-ის ჟურნალისტები იყვნენ დაცული და მედია არ იყოს პოლიტიზებული. ეს არის დავა ორ სუბიექტს შორის.

ჩვენი ჩართულობა ამ პროცესებში გამორიცხულია. უნდა მივეჩვიოთ, რომ ცივილიზებულ საქართველოში ყველა უნდა დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს გადაწყვეტილება, არ გვაქვს უფლება, რაიმე კომენტარი ვთქვათ.

მხარეებს უფლება აქვთ, გადაწყვეტილება გაასაჩივრონ. არ არის საჭირო პროცესის დრამატიზება. მინდა, მოგმართოთ რუსთავი 2-ის ჟურნალისტებს, რომ თქვენ ხართ პროფესიონალები და მინდა, ღიად დავაფიქსირო პატივისცემა და მხარდაჭერა თქვენდამი, – აღნიშნა ღარიბაშვილმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კუკავა: „ივანიშვილი საარჩევნოდ კომპრომატებს დაარიგებს და არა — ფულს“

ნონა ცაბაძე



**როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტისა და საკრებულოს შუალედურ არჩევნებში ყველა საარჩევნო ოლქში მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა.**

– საქართველო, ბელარუსსა და აზერბაიჯანთან ერთად, მესამე ქვეყანაა, სადაც საარჩევნო ოლქების 100%-ს ხელისუფლება იგებს, – აცხადებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა.

ოპოზიციონერი მიიჩნევს, რომ არჩევნებმა ტოტალური გაყალბების ფონზე ჩაიარა.

– ხელისუფლებამ გამოიყენა ყველა მეთოდი, რომლებსაც გასულ წლებში მოქალაქეთა კავშირი და შემდეგ ნაციონალური მოძრაობა მიმართავდნენ არჩევნების გასაყალბებლად, – ამბობს კახა კუკავა.

***– თუკი არ ჰქონდათ მხარდაჭერა, როგორ მოიგეს არჩევნები? გააყალბეს?***

– რასაკვირველია. გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული რესურსი, მობილიზებულნი იყვნენ შეიარაღებული ძალები და სუსი. ეს ყველაფერი კი დღის დასასრულს იმით დაგვირგვინდა, რომ პირადად თავდაცვის მინისტრი აგროვებდა საუბნო კომისიის ოქმებს და აჯამებდა ხმებს.

ხმებში გარდატეხა შეიტანა სწორედ იმ საარჩევნო უბანმა, სადაც სამხედროებმა მისცეს ხმა. გამოდის, რომ საგარეჯოს დეპუტატის არჩევისას, საგარეჯოელებზე მეტი ხმა ჰქონიათ საგარეჯოში დისლოცირებულ სამხედროებს.

კახა კუკავას განცხადებით, შუალედურ არჩევნებში ხელისუფლებამ აჩვენა, თუ როგორ აპირებს „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

***– ამ ფონზე როგორია ოპოზიციის სტრატეგია?***

– ამ ვითარებაში, გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს არასაპარლამენტო ოპოზიციის და საზოგადოების გაერთიანება ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა ეს უკანასკნელი იძულებული გახდეს, გაატაროს საარჩევნო რეფორმა და 2016 წელს მშვიდობიანი გზით დათმოს მართვის სადავეები.

ოპოზიციონერის განცხადებით, პატრიოტთა ალიანსი ყველაზე ლოიალურად იყო განწყობილი ხელისუფლებასთან, ის არ შეუერთდა ბოიკოტს, მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და დღეს ისიც აცხადებს, რომ არჩევნები გააყალბა ხელისუფლებამ.

***– ირმა ინაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ისევ გამოდის ქუჩაში და საპროტესტო აქციებს იწყებს. ეს ტალღა მოიცავს მთლიანად არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრს?***

– ჩვენ მოვუწოდებთ პატრიოტთა ალიანსს, რომ მათ ბოლომდე დაიცვან თავიანთი ხმები. მე არ ვარ პატრიოტთა ალიანსის თანამოაზრე, კატეგორიულად ვემიჯნები მათ პოლიტიკურ ხედვებს, თუმცა, ამის მიუხედავად, მე მზად ვარ, დავიცვა საგარეჯოელების ხმის უფლება, თუკი პატრიოტთა ალიანსი დაგვარწმუნებს, რომ მართლა ბოლომდე აპირებს ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას და ეს არ იქნება ფარსი!

***– იყო საუბარი, რომ კოალიციის შიგნით არ იყო ერთიანობა, რომ „ოცნებაში“ შემავალი პარტიების ნაწილი ინაშვილს უჭერდა მხარს, თუმცა რესპუბლიკელებმა აჯობეს.***

– ყველამ კარგად ვიცით, რომ „ოცნების“ კოალიციაში შემავალი სუბიექტები არის ფორმალობა. „ოცნება“ მთლიანად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებზეა დაფუძნებული. სწორედ ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, ვინ უნდა გამხდარიყო მაჟორიტარი დეპუტატი და თუ რა შეხედულებები ჰქონდათ ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიებს, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

***– ანუ ივანიშვილი რესპუბლიკელების მხარესაა? კმაყოფილია მათი საქმიანობით?***

– ამ სიტუაციიდან გამომდინარე ასეა. ცხადია, რომ რესპუბლიკელები საგრძნობლად გაძლიერდნენ.

კახა კუკავა დავით უსუფაშვილის განცხადებასაც ეხმიანება, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ 2016 წლისთვის კოალიცია უნდა იყოს შეკრული და ერთიანი, რომ მათ ცალ-ცალკე პერსპექტივა არ აქვთ არჩევნებში გამარჯვების.

– დავით უსუფაშვილის განცხადება რომ ვთარგმნოთ ყოფით ენაზე, ის ასე გამოიყურება: დიახ, რესპუბლიკური პარტია 2%-იანია, დიახ, ჩვენ არ გვაქვს არჩევნებში ბარიერის გადალახვის შანსი, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ ძიძიგური, თოფაძე, ღარიბაშვილი და სანიკიძე, რომ თქვენც 2%-იანები ხართ! არც თქვენ გაქვთ ბარიერის გადალახვის შანსი და ჩვენი ერთადერთი შანსია, ერთმანეთს ავეკიდოთ და ბიძინა ივანიშვილმა გადაგვალახინოს საარჩევნო ბარიერი. აი, ამაზე მიანიშნა უსუფაშვილმა, – აცხადებს კუკავა.

***– ფიქრობთ, რომ ეს სურათი იქნება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე?***

– დიახ, ამ არჩევნებისთვის კოალიციის შემადგენლობა არ შეიცვლება. პარლამენტის თავმჯდომარეს დღეს ჯიუტად არ უნდა იმ პრობლემის გათავისება, რომ ყველა ოპოზიციურმა პარტიამ, გარდა ერთისა, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ვერ ხვდება, რომ ეს გაცილებით დიდი პრობლემაა, ვიდრე ერთი კანდიდატისთვის არჩევნების გაყალბება.

კუკავას აზრით, ოპოზიციის ყველაზე ჯანსაღმა ნაწილმა ინიციატივა უნდა აიღოს ხელში, ნაცები და ქოცები მოაცილოს ამ ქვეყანას და ქვეყნის მართვის სადავეები გადაიბაროს.

***– განცხადებებით კი გამოდიხართ, მაგრამ არსად ჩანს თქვენი აქტიურობა. საზოგადოებაში არის ის მუხტი, რაც ადრე იყო?***

– სამწუხაროდ, არ არის ეს მუხტი. ჩვენს პასიურობას ჰქონდა თავის მიზეზი – არასაპარლამენტო პარტიები ვიყავით საპარლამენტო პარტიების შემყურე, იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ინიციატივა.

საპარლამენტო პარტიებმა, როგორც უმრავლესობიდან, ისე უმცირესობიდან, დაადასტურეს, რომ მათ არ შეუძლიათ არაფრის გაკეთება, გარდა იმ ფარსისა, რასაც ყოველდღე ვუყურებთ ეკრანზე. დღეს არასაპარლამენტო ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს და აიღოს პოლიტიკური პროცესების კონტროლის პასუხისმგებლობა.

***– დათმობს ასე მარტივად ხელისუფლება?***

– მარტივად არ დათმობს, მაგრამ ჩვენ უნდა გადავიდეთ 2007 წლის მსგავს პროცესებზე. ანუ რადიკალურ დაპირისპირებაზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ჩვენ უნდა შევძლოთ მთელი საზოგადოების დარაზმვა. უნდა მოხდეს „ქართული ოცნების“ და ნაციონალების სრული მარგინალიზაცია! ისინი უნდა განიდევნონ პოლიტიკური სპექტრიდან.

ოპოზიციონერი ფარული ჩანაწერების თემასაც ეხება და აცხადებს, რომ ხელისუფლება დღეს ზუსტად ისე მოქმედებს, როგორც 2007-ში მოქმედებდა სააკაშვილის ხელისუფლება.

– მე ქართველ ხალხს მინდა ვუთხრა: ა, ბატონო, 2012-2015 წლები და სანამ ბიძინა ივანიშვილი იქნება პოლიტიკაში, მისი ერთადერთი შეთავაზება ქართველი ხალხის მიმართ იქნება მხოლოდ წინასაარჩევნო კომპრომატები.

***– ანუ ეს ფარული ჩანაწერები ხელისუფლებას მხოლოდ კომპრომატებად სჭირდება წინასაარჩევნო პერიოდში?***

– რასაკვირველია! თუ ვინმეს ჰგონია, რომ წინასაარჩევნოდ ესენი ფულს დაარიგებენ, ვაუჩერებს, ან სამუშაო ადგილებს გაზრდიან, ტყუილად გაქვთ ამისი იმედი! წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილი გიმზადებთ კიდევ უფრო საინტერესო და კიდევ უფრო ბინძურ ვიდეოკომპრომატებს!

კუკავა აცხადებს, რომ ხელისუფება ამ კომპრომატების საფუძველზე არავის დააკავებს და რომ ზუსტად იგივე მოხდა 2007-შიც. სააკაშვილმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ბრალი დასდო პოლიტიკოსებს, თუმცა ისინი არ დაუკავებია. მისივე თქმით, ეს ყველაფერი იმ პერიოდში მიზნად ისახავდა საზოგადოებაში ისტერიის შექმნას.

– გარწმუნებთ, რომ არც ახლა არ მოხდება არავის დაკავება, უბრალოდ, ხელისუფლება პოზიციებს იმაგრებს. მეტი ამოცანა ამ გამოქვეყნებულ ჩანაწერებს არ აქვს. ნუ გექნებათ იმედი, რომ ივანიშვილი საარჩევნოდ ფულს დახარჯავს. წინასაარჩევნოდ ივანიშვილი დაგირიგებთ კომპრომატებს, – აცხადებს კახა კუკავა.

# ნუგზარ წიკლაური: „არაფრის უარყოფას არ ვაპირებ“

## ნაციონალებზე მორიგი ფარული ჩანაწერი გამოქვეყნდა

შორენა მარსაგიშვილი

**უკრაინული გამოცემა უარევო.ინ.უა მოწყენისა და სერიალების მშვიდად ყურების საშუალებას არ გვაძლევს. გუშინ, 3 ნოემბერის, მათ მორიგი სატელეფონო საუბრების ჩანაწერები გამოაქვეყნეს, სადაც ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ნუგზარ წიკლაურისა და გივი თარგამაძეს ესაუბრება.**

აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაპრეზიდენტალი ინტერესდება, თუ რა ღონისძიებები ტარდება მათ მიერ რუსთავი 2-ის დაცვასთან დაკავშირებით.

ნუგზარ წიკლაური აცხადებს, რომ სამეგრელოდან უკვე ჩამოსულია ის 50 ადამიანი, რომლებზეც მან მიხეილ სააკაშვილს წინა საუბრის დროს უთხრა, გივი თარგამაძე კი აცხადებს, რომ ხალხი საკმარისია და გაუძლებენ როგორც პირველ, ასევე მეორე და მესამე ნაწილებსაც.

ჩვენთვის კარგად ნაცნობმა უკრაინულმა გამოცემამ ამჯერად 3 აუდიოჩანაწერი გამოაქვეყნა. იმედია, 3 ჩანაწერი 3 ნოემბერს არ დაამთხვიეს და ამ ლოგიკით 30 ნოემბერს 30 ჩანაწერის გამოქვეყნება მოუწევთ.

3 ნოემბერს გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერებში საუბარია პერმანენტული აქციების დაწყებაზე. აქციები მას შემდეგ უნდა დაიწყოს, რაც მოსამართლე რუსთავი 2-თან დაკავშირებით გადაწყვეტილებას გამოაცხადებს.

დეპუტატი წიკლაური ნაპრეზიდენტალს ანგარიშს აბარებს და ეუბნება, რომ კარგი განწყობაა, არასამთავრობოები გამოდიან და იქვე არიან ცნობადი სახეები.

საუბარი იმ დროს შედგა, როცა რუსთავი 2-ის სასამართლო მიმდინარეობდა. წიკლაური ოდესის გუბერნატორს ეუბნება, რომ ხალხის ნაწილი სასამართლოსთან მიდის, ხოლო 3.000-მდე კაცი ტელეკომპანიის ეზოში მივა.

ჩანაწერში კარვებზეც არის საუბარი. ეს კარვები 2 კვირის წინ რუსთავი 2-ის ეზოში მიიტანეს.

დეპუტატი პარტიის ლიდერს ამცნობს, რომ კარვები და გასაშლელი საწოლები აქვთ. მისი თქმით, ამ საუბრის მეორე დღეს უკვე დაიწყებენ ამ მოწყობილობების დამონტაჟებას.

ის სააკაშვილს ის სცენარზეც ესაუბრება, რომელიც იქ შეიძლებოდა, განვითარებულიყო. ჩანაწერში რამდენიმე ათეულ სპეცრაზმელზეც არის საუბარი.

– მე რასაც მეუბნებიან, აქვთ მათ ეგეთი სცენარი, რომ ჩვენი ხალხი რომ იქნება იქ, თვითონაც მობილიზაცია გაუკეთონ 600 კაცს, იქ მოხდეს თქლეში. ჩვენ ვილაც-ვილაცები ჩამოგვყავს, ცოტა ისეთი ხალხი, ადრე სპეცრაზმელები და რაღაცა სამეგრელოდან. მე მგონია, რომ რაღაც ამყრალდა და ვნახოთ, რა იქნება, – ამბობს წიკლაური.

მეორე ჩანაწერში, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე მიხეილ სააკაშვილსა და ნუგზარ წიკლაურს შორის გაიმართა, შემდეგ კი წიკლაურმა, სავარაუდოდ, ტელეფონი გივი თარგამაძეს გადააწოდა.

ოდესის ოლქის გუბერნატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა მაქსიმალური მობილიზაცია ქვეყნის მასშტაბით. მისი თქმით, კიდევ უფრო დიდი მიტინგი და კონცერტი უნდა გაიმართოს.

ჩანაწერში გივი თარგამაძე მიხეილ სააკაშვილს პატაკს აბარებს, თუ ვისი მობილიზება შეძლო კონკრეტულად მან.

– საკმარისი რაოდენობით მომყავს. ზოგი ისეთია, გაგდებულები, ზოგი ჩვენია, ზოგი ის არის, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, პირველ ნაწილს გავუძლოთ, მაგრამ პირველსაც გავუძლებთ, მეორესაც და, მე მგონი, მესამესაც, – აცხადებს გივი თარგამაძე.

***

ისევე, როგორც წინა ჩანაწერების გავრცელებისას, ამასაც დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ნაციონალებმა ერთი ამბავი ატეხეს, დეპუტატებსაც კი უსმენენო.

ჩანაწერის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ნუგზარ წიკლაური თავიდან კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებდა, შემდეგ გამოქვეყნებული ჩანაწერი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დადო.

– ახლა მოვისმინე ფსბ-ივანიშვილის ახალი ჩანაწერები. ვაი, ვაი, ეს უტვინო და უთავმოყვარეო მავნებლები. ერთადერთი დასკვნა მაქვს: სწრაფად გავყაროთ ქართული პოლიტიკიდან, – დაწერა დეპუტატმა.

მოგვიანებით მან კომენტარების გაკეთებაც დაიწყო და ახსნა, თუ რატომ იყო აუცილებელი ხალხის მობილიზება.

დეპუტატი ადასტურებს, რომ 3 ნოემბერს უკრაინულ საიტზე გავრცელებულ აუდიოჩანაწერში მიხეილ სააკაშვილს ნამდვილად ის ესაუბრება.

– დიახ, სააკაშვილს მე ვესაუბრები. ახლაც შემიძლია, გავიმეორო ის ყველაფერი, რაზეც სააკაშვილთან ვსაუბრობდი. ჩანაწერში სიახლეს არაფერი წარმოადგენს, რადგან ჩემს პოზიციას თავისუფალი მედიის დაცვის აუცილებლობასთან დაკავშირებით არაერთხელ ვაფიქსირებდი როგორც მედიასთან საუბრისას, ისე სოციალურ ქსელში, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში წიკლაურმა.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთ ლიდერს უჭირს იმის დაზუსტება, გავრცელებული ჩანაწერები ერთი სრული საუბარია თუ სხვადასხვა ჩანაწერიდან გაკეთებული მონტაჟია.

სამაგიეროდ, კარგად ახსოვს, როდის შედგა ეს საუბარი. ამაში მას რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლე ურთმელიძე დაეხმარა.

– ეს ერთი საუბარია თუ კომპლიმაცია, ამას ვერ ვიხსენებ, მაგრამ ნამდვილად არ ვაპირებ ყოველივე იმის უარყოფას, რაზეც გამოქვეყნებულ ჩანაწერებშია საუბარი. რაც შეეხება იმას, თუ როდისაა ეს ჩანაწერები გაკეთებული, ზუსტად ვერ ვიხსენებ, თუმცა, ვფიქრობ, ეს იმის მეორე დღეა, როდესაც მოსამართლე ურთმელიძემ დედა უარყო, – აღნიშნა დეპუტატმა.

ის ამაყად ადასტურებს იმას, რომ მართლაც ახდენდა ხალხის მობილიზებას. დეპუტატის მტკიცებით, ამისკენ ღარიბაშვილის ტიტუშკებმა უბიძგეს.

– ცნობილი იყო, რომ ღარიბაშვილის ძალადობისკენ მოწოდების შემდეგ ტიტუშკების ჯგუფები აპირებდა თავდასხმას რუსთავი 2-თან შეკრებილებზე, მის მხარდამჭერებზე. ჩვენს შემთხვევაში საუბარია მშვიდობიან, შეუიარაღებელ თავდაცვაზე და ეს ასე იქნება ყოველთვის, სანამ თავისუფალ სიტყვას საფრთხე შეექმნება. ასე რომ, ამ ჩანაწერში რაიმე სიახლეს ვერ ვხედავ, – განაცხადა წიკლაურმა.

***

ნაციონალური მოძრაობის წევრები ამ დღეებში თავიანთ პარტიულ ბელადს ბევრს ესაუბრებოდნენ და ყვე-



ლა მათგანი გულისფანცქალით ელოდება, როდის მოიცლის მათთვის უკრაინული გამოცემა.

ასეთ მოლოდინშია დეპუტატი გიორგი ვაშაძეც. ის არ გამორიცხავს, რომ უახლოეს დღეებში მისი სატელეფონო საუბრების ფარული ჩანაწერებიც გავრცელდება.

ამის გამო ის არ ნერვიულობს და უკვე გამოქვეყნებულ ჩანაწერებში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, ჩანაწერების გამოქვეყნებაზე კი ფიქრობს, რომ საქართველოში კომიკური სიტუაცია შეიქმნა.

– ამ ჩანაწერებში არაფერი განსაკუთრებული არ არის. ეს არის ჩვეულებრივი დაცვის სტრატეგია, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას. ეს არის ჩვეულებრივი საუბარი და მეტი არაფერი. ხვალ, ზეგ, ალბათ, ჩემი საუბრებიც იქნება, ზოგი დამონტაჟებული, ზოგი დაუმონტაჟებელი. ვფიქრობ, მართლაც

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# კონსტანტინე გამსახურდია: „ახალ პარლამენტში ხუთი ოპოზიციური ძალა შევა“



ნათია ხურცილავა

**არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია აცხადებს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანება და ერთიანი პლატფორმით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოსვლა გამოსავალი არ არის.**

***— ბატონო კონსტანტინე, შუალედური არჩევნები რამდენად იყო თქვენთვის ერთგვარი რეპეტიცია დიდი არჩევნებისთვის? რა გაკვეთილი მიიღო არასაპარლამენტო ოპოზიციამ, რომლის დიდი ნაწილი ბოიკოტს უცხადებდა ამ არჩევნებს?***

— ხუთივე საარჩევნო ოლქში, მე ვგულისხმობ როგორც პარლამენტის, ისე საკრებულოს არჩევნებს, მმართველი პარტია გახდა გამარჯვებული. შედეგებმა აჩვენა, რომ საარჩევნო უბნების 100%-ს სახელისუფლებო გუნდი იგებს. ეს წარმოუდგენელია, არ შეიძლება. მაგალითად, ვანის საარჩევნო ოლქში მმართველ პარტიას ხმების 100% მიუღია. გაყალბება არ გულისხმობს მხოლოდ ბიულეტენების საარჩევნო ურნაში ჩაყრას. აქ საუბარია ტექნოლოგიებზე, თვითონ სიტუაციის გაყალბებაზე. რეალურად შეიძლება ისეთი დრო დადგეს, რომ ამომრჩეველი ვის აძლევს ხმას, ეს დიდი ხნით ადრე იყოს გადაწყვეტილი.

***— ეს როგორ?***

— ეს იქნება ანგაჟირებული, წინასწარ მომზადებული ამომრჩეველი და არა ამომრჩეველი, რომელიც საკუთარი რწმენისა და მოლოდინის საფუძველზე გააკეთებს არჩევანს. შესაძლოა, დოტაციაზე მყოფიც კი იყოს, ის უკვე რაღაც სისტემაში იქნება მოქცეული და თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აღარ ექნება.

***— ნაციონალური მოძრაობის მიმართ სწორედ ეს ბრალდება იყო, რომ ამომრჩეველი მათ დოტაციაზე ჰყავდათ, რომ წინასწარ იყო არჩევანი გაკეთებული და ამისთვის სახელისუფლო რესურსი იყო ჩართული. არ ფიქრობთ, რომ ეს პერიოდი გავიარეთ?***

— ეს მანკიერი მეთოდი შემოიღო ნაციონალურმა მოძრაობამ და ამას აგრძელებს, როგორც ჩანს, ეს ხელისუფლებაც. რადგან გარკვეული კითხვის ნიშნები ჩანს. თუ დემოკრატიულად ვატარებთ არჩევნებს, მაშინ ასეც უნდა ჩატარდეს, რადგან სანახევრო დემოკრატია არ არსებობს.

***— პოლიტოლოგების ნაწილი აცხადებს, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციას მომავალ არჩევნებში შანსი არ აქვს, თუ ის არ ჩაატარებს შიდა პრაიმერიზს და არ გამოავლენს ერთ ლიდერს, რომლის ირგვლივაც მოხდება გაერთიანება. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?***

— მე არ მგონია, რომ ეს იყოს გამოსავალი. თუ გახსოვთ, ჩვენ, ოპოზიციამ, 2007 წელს მოვახერხეთ გაერთიანება და საერთო ლიდერიც გამოვავლინეთ.

***— გულისხმობთ ლევან გაჩეჩილაძეს?***

— დიახ. მაშინ ეს იყო ჩვენი კეთილი ნება, მაგრამ ყველას კარგად ახსოვს, როგორ განვითარდა მოვლენები და ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

***— მაშინ გაერთიანებული ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ მათმა კანდიდატმა გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში.***

— დიახ, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი.

***— რატომ?***

— ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი ზოგადად საარჩევნო პროცესში. შიდა თუ გარე ფაქტორები, საერთაშორისო მხარდაჭერა და ა.შ.

***— როგორც ჩანს, თქვენ გაერთიანებაში გამოსავალს ვერ ხედავთ.***

— შეიძლება უფრო მეტი შედეგი მივიღოთ, ვიდრე დღეს გვაქვს, მაგრამ ამით ჩვენ სიტუაციას სრულად ვერ შევცვლით.

***— ექსპერტების ნაწილი 2016 წლის არჩევნებს არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის ბოლო შანსად განიხილავს. თქვენც ასე პესიმისტურად ხართ განწყობილი?***

— არა, მე არ ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი, რადგან ოპოზიციას ყოველთვის შეუძლია განახლება. ხელახალი ფორმირება, ერთგვარი გადატვირთვა. ოპოზიციას ყოველთვის შეუძლია განახლებული შემადგენლობით წარდგომა ამომრჩევლის წინაშე.

***— ახალ პარლამენტში ძალთა სხვადასხვა შემადგენლობას ელოდებით?***

— დიახ. ამის მოლოდინი ნამდვილად მაქვს. მინიმუმ ხუთ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას მივიღებთ მომავალ პარლამენტში, სხვანაირად შეუძლებელია და ამას ვამბობ არსებული რეალობიდან გამომდინარე.

***— და როგორია ეს რეალობა?***

— ძალიან ქაოტური, დაულაგებელი.

***— ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს გულისხმობთ? გავრცელებულ ჩანაწერებს?***

— მათ შორის. მე არ მგონია, რომ ეს ჩანაწერები შემთხვევით გაჩნდა. რუზველტის ნათქვამი მახსენდება, რომ პოლიტიკაში შემთხვევით არაფერი ხდება და თუ მოხდა, სწორედ ასე იყო დაგეგმილი.

***— ამ ჩანაწერების მთავარი ფიგურანტი ყოფილი პრეზიდენტია, რომელიც კვლავ განიხილავს რევოლუციურ სცენარს. ამაზე რას იტყვით?***

— ამ ეტაპზე ქვეყანაში რევოლუციური სცენარით მოვლენების განვითარების შანსი არ არის. ჩვენ, გაერთიანებული ოპოზიცია, როდესაც მიტინგებს ვმართავდით, პრობლემა არ იყო, ისე გამოგვყავდა 100 ათასი ადამიანი ქუჩაში. მაშინ რევოლუცია შუა გზაზე გაჩერდა. დღეს რამდენი ადამიანი გამოჰყავს ქუჩაში ნაციონალურ მოძრაობას? არის კი ეს საკმარისი რევოლუციის მოსახდენად? რასაკვირველია, არა.

დღეს მიხეილ სააკაშვილი იგორ გიორგაძისა და ლევან მამალაძის მსგავს სახედ გადაიქცა.

## ნუგზარ წიკლაური: „არაფრის უარყოფას არ ვაპირებ“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

სამარცხვინო და სასაცილოა ის, რაც ხდება დღეს ქვეყანაში, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი ვაშაძემ.

***

ნაციონალების ჟღურტულის გარდა, სხვა ჩანაწერების გამოქვეყნებაც იგეგმება. გავრცელებული ინფორმაციით, ახლო მომავალში, შესაძლოა, უკრაინულ მედიაში პატიმრების წამების ამსახველი ახალი კადრები გამოქვეყნდეს.

როგორც „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა განუცხადა, სააკაშვილის დაუძინებელ მტერს, მილიარდერ კოლომოისკის ხელთ უამრავი ჩანაწერი აქვს და მათ უახლოეს დღეებში გამოაქვეყნებს.

— ჩემი უკრაინელი მეგობრები და კოლეგები მეუბნებიან, რომ მომავალში გამოქვეყნებული წამების კადრები იმაზე უარესი იქნება, რაც აქამდე ვნახეთ, — აღნიშნავს სამხედრო ექსპერტი.

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენ ქინძის განცხადებებზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებთ“



— ჩვენ ქინძის განცხადებებზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებთ! — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინულ საიტზე გავრცელებულ ერთ-ერთ აუდიოჩანაწერს, სადაც, ვებგვერდის მტკიცებით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და ამჟამინდელი ოდესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილისა და მომღერალ სოფო ნიჟარაძის სატელეფონო საუბარია.

ღარიბაშვილის თქმით, მან მოისმინა აღნიშნული კომენტარი, თუმცა კანონზე მაღლა არცერთი მოქალაქე არ იქნება საქართველოში.

— ჩვენ მოვისმინეთ კომენტარები იმასთან დაკავშირებით, რომ გავრცელდა ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად ოდესის გუბერნატორის ჩანაწერები, რომელიც საკუთარ თავს ქინძს ეძახის. ჩვენთვის ეს სასაცილოა.

ჩვენ ქინძის განცხადებებზე ვერ გავაკეთებთ სერიოზულ კომენტარს. მე მინდა, ყველას ვუთხრა, რომ დღეს სახელმწიფო არის იმაზე უფრო მეტად ძლიერი, ვიდრე ეს იყო სამი წლის წინ, იმიტომ, რომ დღეს ჩვენ ვართ დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობა იქნება ყოველთვის დაცული და არცერთი მოქალაქე არ იქნება კანონზე მაღლა — ვერც ქინძი და ვერც ნებისმიერი სხვა მოქალაქე, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

უკრაინული ვებგვერდი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მომღერალ სოფო ნიჟარაძეს შორის სატელეფონო საუბარს აქვეყნებს. გამოქვეყნებულ ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, პეტრო პოროშენკოსთან შეხვედრის შესახებ საუბრობს.

— ვიყავი პოროსთან და მოვედი უკან, ახლა დავამთავრე, — ამბობს სააკაშვილი. ამის შემდეგ სააკაშვილი და ნიჟარაძე საუბრობენ, თუ როდის გადაწყვეტს გარკვეულ საკითხს, თუმცა, რა ამბავს გულისხმობენ, უცნობია. გარდა ამისა, სააკაშვილი ეუბნება ნიჟარაძეს, რომ „მანდ სისხლისღვრა იქნება“.

— სტო პრო იქნება, ქინძი ვიყო, — ამბობს სააკაშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# თამარ ჩხეიძე: „ჩანაწერებში გადატრიალებაზე საუბარი არ არის“

მარიამ მჭედლიშვილი

**მოსალოდნელია, რომ ჩანაწერები, რომლებშიც პრეზიდენტყოფილის საუბრებია ჩაწერილი, კიდევ გავრცელდეს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მათი გავრცელება პროტესტს უნდა იწვევდეს.**

— ამ მასალების გამოქვეყნებაზე უნდა იყოს პროტესტი და არა შინაარსზე, — განუცხადა „ახალ თაობას“ თამარ ჩხეიძემ.

***— შინაარსიც ხომ საყურადღებოა?***

— შინაარსი არ გულისხმობს მზადებას სახელმწიფო გადატრიალებისათვის. სამწუხაროა, რომ ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლება მიჰყვება რუსეთის სპეცსამსახურების კვალს.

***— ამის შესახებ რაიმე მონაცემები გაქვთ?***

— საიტი, რომელიც ითვლება ამ ფარული ჩანაწერების წყაროდ, რუსულია. ესეც რომ არ იყოს, ეს ყველაფერი ჯდება რუსეთის ინტერესებში. შინაარსზე ბევრად მნიშვნელოვანია ის, რომ ხდება მანიპულირება ამ მასალებით. მიმდინარეობს გამოძიება შეთქმულების მუხლით სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად. არადა, მოსმენილი დიალოგებიდან ასეთ დასკვნას ვერ გამოიტან.

***— საუბარია ძალადობრივ სცენარზე.***

— ფარულ ჩანაწერებში ყველა გამონათქვამი მისაღები არაა, მაგრამ ეს არის წარუმატებლად შერჩეული ფრაზები, სიტყვები და არა მზადება ხელისუფლების დამხობისათვის. ფაქტია, რომ დიალოგის მონაწილეები საუბრობენ ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შენობის დაცვაზე. რუსთაველის პროსპექტზე ძალადობრივი აქციები, ან სახელმწიფო შენობების აღება და შტურმი დაგეგმილი არ არის. ჩემს სახლში მინდა, რკინის კონსტრუქციას დავდგამ და მინდა პლასტმასისას! კონსტრუქციის დადგმა არ ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას.

***— რა მოვლენები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?***

— არა მგონია, რაიმე განსაკუთრებული კატაკლიზმები მოხდეს. ჩანაწერებით უნდოდათ ტელეკომპანიის ჟურნალისტების დაშინება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც შეჩერდა აღსრულების დაუყოვნებლივ განხორციელება, დაძაბულობა განმუხტა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიჩინა დამოუკიდებლობა და კომპეტენტურობა. ეს ინსტიტუტი, სხვებისაგან განსხვავებით, არაა დამოკიდებული ერთი კაცის ნება-სურვილზე.

***— სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები დამოკიდებული არიან?***

— რა თქმა უნდა! მაგალითად, სასამართლო და პროკურატურა. სასამართლო არც წინა ხელისუფლების დროს იყო დამოუკიდებელი. ახლა ამ ხელისუფლებამ პოლიტიკურ ნაწილში ნაციონალურ მოძრაობასაც კი გადააჭარბა. ვგულისხმობ პოლიტიკური ოპონენტების გასამართლებას. პარლამენტიც არაა დამოუკიდებელი. საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილია ოპოზიცია, მაგრამ გადაწყვეტილებებს იღებს მორჩილი უმრავლესობა. გამაოგნებელი იყო ჩანაწერებთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარები. მაგალითად, ითქვა, რომ უცხო ქვეყნის მოხელე არ უნდა ერეოდეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებში. ეს რომ ღარიბაშვილს ეთქვა, არ გამიკვირდებოდა. პრემიერისაგან მიჩვეული ვართ არაკორექტულ გამონათქვამებს. ამჯერად ეს განცხადებები პრეზიდენტმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გააკეთეს.



***— რატომ არის ეს განცხადებები მიუღებელი?***

— ჯერ ერთი, სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობა ჯერ არ შეუწყვეტიათ. მეორეც, ის ყოფილი პრეზიდენტია. მას სრული უფლება აქვს, ტელეფონით ისაუბროს.

***— დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია პარლამენტის შუალედურმა არჩევნებმა საგარეჯოში. არჩევნების შემდეგ ზოგი რესპუბლიკური პარტიის დასამარებაზე ალაპარაკდა, ზოგი კი — გაძლიერებაზე.***

— ამ არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა გაიმარჯვა, რაც გასაკვირი არაა. ეს გამარჯვება განაპირობა იმან, რომ რესპუბლიკური პარტია კოალიცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაშია. ცალკე ეს პარტია, როგორც წესი, ვერაფერს აღწევს და ყოველთვის უერთდება გამსვლელ ძალას.

ახლაც ასე მოხდა. ამიტომ, რესპუბლიკური პარტიის გაძლიერებაზე და დასუსტებაზე საუბარი უადგილოა. გაიმარჯვა ხელისუფლების კანდიდატმა.

რაც შეეხება გაყალბებას და დარღვევებს, ესეც მოსალოდნელი იყო. ჩვენთან დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები არ ტარდება. არ არის ნორმალური და თანასწორუფლებიანი გარემო. საქართველოს პატრიოტთა ალიანსის კანდიდატ ირმა ინაშვილს რომ გაემარჯვა, არც ამას მივესალმებოდი. ეს ძალა რეაქციულად და პრორუსულად მიმაჩნია.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ არ იაფდება საწვავი ქართულ ბაზარზე?

ბოლო ერთი წლის განმავლობაში „შავი ოქროს“ ფასი მთელ მსოფლიოში თანდათან დაეცა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ნავთობი კიდევ უფრო გაიაფდება.

ანალოგიური პროგნოზი აქვთ მსოფლიო ბანკს, საერთაშორისო ანალიტიკურ ცენტრებსა და უმსხვილეს ნავთობკომპანიებს, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ, რომ მსოფლიოში ნავთობის დაბალი ფასი კვლავაც შენარჩუნდება.

ირანისთვის სანქციების მოხსნით, მსოფლიოში ნავთობის წარმოება დღეში მილიონი ბარელით გაიზრდება, ხოლო მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2016 წლიდან, ირანის ნავთობის ბაზარზე დაბრუნება ფასების კიდევ უფრო შემცირებას გამოიწვევს.

რა მდგომარეობაა საქართველოს საცალო ქსელში?

ჩვენთან, ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე, 1 ლიტრი საწვავის საშუალო ფასი ასეთია: სუპერი 2,07-2,10 ლარი ღირს; პრემიუმი – 1,99-2,05 ლარი; რეგულარი – 1,83-1,98 ლარი; დიზელი – 1,77-1,80 ლარი; ევრო დიზელი – 1,92-1,99 ლარი.

არაბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი საწვავის ფასი 25-30 თეთრით ნაკლებია.

შედარებისთვის: რეგულარის ტიპის საწვავის საშუალო ფასი 2014 წლის 4-6 დეკემბრისთვის საქართველოში 1.93 თეთრი იყო, ხოლო თვის ბოლოს მისმა ფასმა 10 თეთრით დაიკლო და 1.83 შეადგინა. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა სხვა ტიპის საწვავზეც.

როგორც ვხედავთ, საწვავის ფასი საქართველოში თითქმის არ შეცვლილა, რაც კარგა ხანია, დიდ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

***

ანალიტიკოსი ბექა კემულარია მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ნავთობის ფასი მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ფასებზე არანაკლებ გავლენას ახდენს წმინდა პოლიტიკური ინტერესები. ამიტომ, ძნელია წინასწარ რაიმეს თქმა.

– თუ ირანის ემბარგო მოიხსნება, ნავთობის მიწოდება გადააჭარბებს მასზე მოთხოვნას და ეს პროდუქტი უფრო გაიაფდება. ეს ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე უარყოფითად აისახება, რადგან მათი ექსპორტის დიდი წილი ნავთობზე მოდის. იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მომპოვებლები არ არიან, ნავთობის ფასის შემცირება კარგია, რადგან ამ დროს ქვეყნიდან ნაკლები უცხოური ვალუტა გაედინება, – ამბობს ანალიტიკოსი.




იმას, რომ ნავთობის გაძვირება ქართულ ბაზარზე არ აისახება, ბექა კემულარია კომპანიებს შორის არსებული კარტელური შეთანხმებით ხსნის.

– კონკურენციის სააგენტომ დააჯარიმა 5 ყველაზე მსხვილი კომპანია საქართველოში, რადგან ისინი ფასებს შეთანხმებულად აწესებენ. აქედან გამომდინარე, ნავთობის გაიაფება-არგაიაფება პირდაპირ არ აისახება ჩვენთან არსებულ საცალო ფასზე, რადგან ეს კომპანიების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, – აღნიშნავს ბექა კემულარია.

ნავთობკომპანიებმა გააპროტესტეს კონკურენციის სააგენტოს დასკვნა და გაასაჩივრეს, რის გამოც საქმე სასამართლოს გადაეცა. როდის დასრულდება ეს სასამართლო, არავინ იცის, თუმცა ფაქტია, რომ სააგენტომ შეისწავლა, დაადასტურა კარტელური შეთანხმება და მსხვილი კომპანიები კიდეც დააჯარიმა.

– ახლა სასამართლოში უნდა გაირკვეს, რამდენად სამართლიანი იყო ეს ჯარიმა და რატომ არ იცვლება საწვავის ფასი ქართულ ბაზარზე, – აცხადებს ბექა კემულარია.



ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი არ უარყოფს, რომ ნავთობის ფასი მსოფლიოში ძალიან დაბალ ნიშნულზეა.

– ნავთობის ფასი ბოლო თვეების განმავლობაში თანდათან ეცემოდა და დღეს წამყვან სანავთობო ბირჟებზე 43-48 დოლარის დიაპაზონში მერყეობს. ეს 2009 წლის შემდგომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ამის მიზეზია ის, რომ დღეს ნავთობის მიწოდება მსოფლიოში აჭარბებს მასზე მოთხოვნილებას, – განმარტავს ვანო მთვრალაშვილი.

არსებობს სხვა, არანაკლებ სერიოზული მიზეზებიც, კერძოდ, ოპეკის ქვეყნებს არ შეუმცირებიათ ნავთობის მოპოვება და არც აპირებენ მის შემცირებას. ადრე, როდესაც ნავთობის ფასი ეცემოდა, ისინი ამცირებდნენ ნავთობის მოპოვებას, რასაც ბაზარზე ნაკლები ნავთობის მიწოდება მოჰყვებოდა და ფასები იზრდებოდა.

– თუ ამას დავუმატებთ ირანისთვის ემბარგოს მოხსნას და აშშ-ის მიერ სტრატეგიული მარაგების გახსნას, ნავთობის ფასი მომავალშიც დაბალი იქნება. გარდა ამისა, ეკონომიკური ზრდა შენელდა ჩინეთში, ეს ქვეყანა აშშ-ის შემდგომ ნავთობის ყველაზე დიდი მომხმარებელია და მისი ეკონომიკის შეფერხებამ ნავთობზე მოთხოვნა შეამცირა. ამ მიზეზების ერთობლიობა განაპირობებს, რომ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის დაბალი ფასი კვლავაც შენარჩუნდება, – აღნიშნავს ვანო მთვრალაშვილი.

მისი შეფასებით, საქართველოში „შავი ოქროს“ ფასს სხვა ფაქტორები განსაზღვრავს.

– ნავთობზე დაბალი ფასის გამო დოლარი მყარდება. დოლარის გამყარებას კი ლარის გაუფასურება მოჰყვა. სწორედ ამიტომ, რამდენადაც უნდა შემცირებულიყო საქართველოში საწვავის ფასი, იმდენად ვერ შემცირდა: ნავთობკომპანიები პროდუქციას დოლარში ყიდულობენ და მერე ლარში ყიდიან. თუ ლარი გამყარდება, საწვავის ფასიც შემცირდება, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

ის ოპონენტებს ასე მიმართავს:

– რატომ არ აქცევთ ყურადღებას, რამდენად გაუფასურდა ლარი დოლარის მიმართ? შარშან 1 დოლარი 1,7 ლარი ღირდა, ახლა – 2,4 ლარი. თუ ეროვნული ვალუტა გაუფასურებას განაგრძობს, საწვავის ფასი საქართველოში ვერ შემცირდება. ამიტომ, სულაც არ მიკვირს, რომ ნავთობკომპანიები არ დაეთანხმნენ კონკურენციის სააგენტოს დასკვნას და გაასაჩივრეს.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# 20, 50 და 100 ლარის ბანკნოტები მიმოქცევაში განახლებული დიზაინით ჩაეშვება




2016 წლიდან 20, 50 და 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვა და ძველ ბანკნოტებთან ერთად მიმოქცევაში იქნება.

ლარის ბანკნოტების განახლებულ დიზაინთან დაკავშირებით, გუშინ, 3 ნოემბერს, სასტუმრო „თბილისი რუმსში“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, გიორგი ქადაგიძემ გამართა პრეზენტაცია, სადაც განახლებული ბანკნოტები წარადგინა.

როგორც ქადაგიძემ პრეზენტაციაზე აღნიშნა, ეს არის ლარის 20-წლიანი ისტორიის მანძილზე ბანკნოტების დიზაინის პირველი მნიშვნელოვანი განახლება, პროექტი აერთიანებს ფულის ნიშნების წარმოებასთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს, მოვლენას და ფაქტორს.

– გარდა ამისა, ეროვნული ბანკი პერიოდულად ავსებს ფულის ნიშნის მარაგებს, რითაც ცვლის მიმოქცევაში არსებულ გაცვეთილ და დაზიანებულ ფულის ნიშნებს ახალი ბანკნოტებით. მოცემული პერიოდისთვის ეროვნულ ბანკს მარაგების შევსება უწევდა, შესაბამისად, ეს იყო საუკეთესო დრო, ვინაიდან პროცესი არ მოითხოვდა დამატებით ფინანსურ რესურსს, – განაცხადა ქადაგიძემ.

მან აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიხვეწა ბეჭდვის პროცესი, შეიქმნა უფრო ძლიერი დამცავი ნიშნები. ახალი ტენდენციებია დიზაინის კუთხითაც.

– სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება გვქონოდა განახლებული დიზაინის ფულის ნიშანი, რომელიც თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო ვალუტებს შორის, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა..

ლარის განახლებული ბანკნოტები დამზადებულია ისეთი მასალებისა და დამცავი მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ზრდის მიმოქცევაში მათ მდგრადობას დაბინძურებისა და ბუნებრივი ცვეთისადმი.

საქართველოს ეროვნულ ბანკში შემუშავებული ლარის განახლებული ბანკნოტების ესკიზების სრულყოფაში მსოფლიოს წამყვანი კომპანიები მონაწილეობდნენ.

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, მოგვიანებით 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტები განახლდება.

ბანკნოტები 2016 წლის პირველი ნახევრიდან გამოვა და მიმოქცევაში იქნება წინა ემისიების ბანკნოტებთან ერთად.

ახალ ბანკნოტებზე ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა აღარ იქნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით გიორგი ქადაგიძემ განმარტა, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე არის მხოლოდ იმ ინსტიტუტის ხელმოწერა, რომელიც ემისიაზეა პასუხისმგებელი.

– მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ფინანსთა სამინისტრო ასევე პასუხისმგებელია ლარის ემისიაზე, არის ასევე ხაზინის ან რიგ შემთხვევაში ფინანსთა მინისტრის ხელმოწერა. ახალი დიზაინი ამ თვალსაზრისით სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, – განაცხადა ქადაგიძემ.

# სურსათზე, უალკოჰოლო სასმელებსა და წამლებზე ფასები გაიზარდა



წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში ფასები გაიზარდა სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ასევე ფარმაცევტულ ნაწარმზე.

სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ინფლაციის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, წინა თვესთან შედარებით, 2015 წლის ოქტომბერში საქართველოში ინფლაციის დონემ 0,8 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 0,9 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,26 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები ძირითადად გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (3,3 პროცენტი) და ბოსტნეული და ბაღჩეული (6,5 პროცენტი). ჯგუფში ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-9,2 პროცენტი).

ჯანმრთელობის დაცვა: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 2,0-პროცენტიანი ზრდა, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,20 პროცენტული პუნქტით აისახა. ჯგუფში ფასები ძირითადად გაზრდილი იყო ფარმაცევტულ ნაწარმზე (6,7 პროცენტი).

სასტუმროები, კაფეები და რესტორნები: ჯგუფზე ფასები გაიზარდა 2,0 პროცენტით, რამაც 0,11 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა ინდექსის მთლიან ცვლილებაზე.

2015 წლის ოქტომბერში 2014 წლის ოქტომბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 5,8 პროცენტი შეადგინა.

# „ალგორითმის“ დამფუძნებლები ხელისუფლებას თავიანთი კომპანიების დევნაში ადანაშაულებენ

კომპანია „ალგორითმის“ მთავარი ბუღალტერი დავით კორახაშვილი ხელისუფლების მხრიდან მისი ძმის, გიორგი კორახაშვილის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე საუბრობს.

მისი ინფორმაციით, სხვადასხვა უწყებებმა მიზანმიმართულად შეუქმნეს პრობლემები გიორგი კორახაშვილის მიერ დაფუძნებულ კომპანიებს და დღეს ბევრი მათგანი დაყადაღებული ან სრულად გაჩერებულია.

ამის შესახებ დავით კორახაშვილი „კომერსანტთან“ საუბრობს.

***– „საერთაშორისო სავაჭრო პალატის“ ხელმძღვანელმა ფადი ასლიმ რამდენიმე დღის წინ ისაუბრა იმის შესახებ, რომ შემოსავლების სამსახურმა რამდენიმე კომპანიას პრობლემები შეუქმნა. მათ შორის იყო „ალგორითმიც“. რა პრობლემებზეა საუბარი?***

– მთელი სამი წელია, ეს პრობლემები გვაქვს. თავიდან შემოვიდა ფინანსური სამსახური, რომელსაც პირველი წლის შემოწმებისთვის დასჭირდა ერთი წელი, მერე დადეს დასკვნა, სადაც გვეკისრებოდა ჯამში 9 მილიონი ლარი. ეს გავასაჩივრეთ, 6 თვის განმავლობაში 9 მილიონიდან ჯარიმები და დარიცხვები ჩამოვიდა 500 ათას ლარამდე. შემდგომ ამ ყველაფერს დაემატა მომდევნო წლის შემოწმების ფაქტები, რომელიც დღემდე გვაქვს გასაჩივრებული. დარიცხვა არის 500 ათას ლარამდე. ეს არის ძირი თანხა, რასაც ერიცხება ჯარიმები და საურავები.

***– ამჟამად თქვენი ანგარიშები გაყინულია?***

– ჩვენი ანგარიშები დიდი ხანია გაყინულია, დაახლოებით თებერვლიდან. გადარიცხვების საშუალება არ გვაქვს. ამასთან, ქონება დაყადაღდა მთლიანად. მოხდა ქონების შეფასება და მხოლოდ იმ ფასად შეგვიძლია ქონების გაყიდვა, რა თანხადაც შეფასებულია. იმაზე ნაკლებ ფასად გაყიდვის უფლება არ გვაქვს. ამას ემატება ის შეზღუდვა, რომ განვადებაც რთულდება, რადგან ყადაღებია ანგარიშებზე. ამას ემატება ისიც, რომ შავ სიაში შეგვიყვანეს. ეს იყო პირველკლასელთა ნეთბუქების საქმის გაგრძელება ამ კომპანიის წინააღმდეგ.

***– რაში ხედავთ გამოსავალს?***

– არ ვიცი. აი, ფადი ასლი გვეხმარება – ადამიანი, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა ჩვენთან და რომ გაიგო ჩვენი პრობლემების შესახებ, ცდილობს დაგვეხმაროს. ალბათ საზოგადოებამაც უნდა ამოიღოს ხმა და სხვა ბიზნესებმაც. სხვა გამოსავალი მე არ ვიცი. გამოუვალი მდგომარეობაა. სასამართლოს იმედზე ყოფნა რთულია, მით უმეტეს, რომ გვაქვს ამის პრაქტიკული გამოცდილება. მაშინ უნდა დაყარო ფარ-ხმალი და თავიდან დაიწყო ბიზნესი. კომპანიას არ აქვს საშუალება, რომ ცალკე ბანკის ვალები იხადოს და ცალკე ეს უაზროდ დარიცხული ჯარიმები.

ჩვენ სახელმწიფოს მხრიდან დათმობაზე წასვლა არ გვჭირდება, რადგან ერთი ფაქტიც კი არ არსებობს იმისა, რომ ვილაცას ჩეკი არ ამოერტყას და გადასახადი დაემალოს „ალგორითმში“.

***– მაშინ რა არის თანხების დარიცხვის მიზეზი?***

– მიზეზი არის ის, რომ რეალურად ეს კომპანია უნდა ჩამოშორებულიყო ბაზარს და ჩამოშორდა კიდეც.

***– ამ მიზეზს ხომ ვერ ჩაწერდნენ საბუთებში? რა წერია ოფიციალურ დოკუმენტში?***

– დარღვევებად არის მითითებული არასწორი აღრიცხვა. ამასთან, ფინანსური პოლიცია შემოვიდა ფულის გათეთრების ბრალდებით, ვითომ რაღაც ოპერატიული ინფორმაცია ჰქონდათ, სინამდვილეში არაფერი არ ჰქონიათ და ვერც ექნებათ, ვინაიდან არ ყოფილა ასეთი ფაქტი.

ეს ყველაფერი იყო შეკერილი მიზეზები, რომ პრობლემები შეექმნათ ამ კომპანიისთვის.

მარტო შემოსავლების სამსახურთან რომ გვქონოდა პრობლემა, კიდევ გასაგებია, მაგრამ ამას ემატება ტენდერები, ჩაშლილი ხელშეკრულებები, ჯარიმები. ეს უკვე სხვა რამეზე მიანიშნებს. დასკვნის გამოტანა რთული არ არის. მოხდა „ალგორითმის“ მოცილება და არამხოლოდ „ალგორითმის“.

***– ფადი ასლი კიდევ რამდენიმე კომპანიაზე საუბრობდა, როგორც ვიცი, ზოგიერთი ამ კომპანიის წილშიც არის „ალგორითმის“ დამფუძნებელი გიორგი კორახაშვილი. რა ინფორმაცია გაქვთ სხვა კომპანიებთან დაკავშირებით?***

– სხვა კომპანიებთან დაკავშირებითაც იგივე მოხდა. ეჭვს ესეც აძლიერებს. ყველაფერი მიმართულია იმ პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც გიორგი კორახაშვილმა დაიწყო.

ყველგან სხვადასხვა სტრუქტურაა შესული, მაგრამ შედეგი იგივეა: ფინანსური შემოსავლების მაქსიმალურად შეზღუდვა. ჩემი დასკვნით, მათ ეშინიათ, რომ ეს ფინანსები სადმე სხვაგან წავა, არადა ამისი საფუძველი არ არსებობს, რადგან ჩვენი კომპანია მხოლოდ თავის სფეროში მუშაობდა სულ და არც პოლიტიკაში აფინანსებდა არავის.

თავიდან არ გვჯეროდა, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს არის ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული კამპანია იმისთვის, რომ ადამიანს ფინანსური შემოსავლები მაქსიმალურად შეზღუდვოდა.

გიორგი კორახაშვილმა ბევრი კომპანია გაასხვისა კიდეც, მაგრამ გასხვისების შემდეგაც გაჰყვა ამ კომპანიებს პრობლემები. ეტყობა, კიდევ აქვთ ეჭვი, არადა სულ სხვა ადამიანებმა შეიძინეს.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**კომერსანტ.გე**

# C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფმა შეაფასა

**საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა. საერთაშორისო პარტნიორები ჯანდაცვის სამინისტროს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის გრძელვადიანი სტრატეგიის დანერგვის, მონიტორინგის, პრევენციისა და კონტროლის კუთხით გაუწევენ კონსულტაციას.**

საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც არიან აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის, ემორის, ჰოპკინსის უნივერსიტეტების ხელმძღვანელები და სხვა საერთაშორისო პარტნიორები, კონფერენციაში მონაწილეობენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენლები,C ჰეპატიტის მხრივ საქართველოში არსებულ მდგომარეობა განიხილეს და ელიმინაციის პროგრამის პირველი ფაზის შედეგები და მიღწევები შეაფასეს. საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის შეხვედრის მიზანსა და მნიშვნელობას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ასევე, საზოგადოების ინფორმირების გაზრდაC ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმდინარეობაზე.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მსოფლიოში ქრონიკულიC ჰეპატიტი აღენიშნება 130-150 მილიონ ადამიანს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კრიტერიუმებით საქართველო ითვლება C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნად. ინფიცირებულთა რიცხვი განსაკუთრებით მაღალია მომატებული რისკის მქონე პოპულაციებში.

ცნობილია, პროგრამა საქართველოში უკვე 6 თვეა ხორციელდება და მის ფარგლებში 5 ათასზე მეტი ადამიანი მკურნალობს. დღევანდელ შეხვედრაზე მოხდა პროგრამის მეორე ეტაპის დასაწყისის დაანონსება, რომელიც, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, დეკემბრიდან დაიწყება, რომლის მიზანია წლის განმავლობაში დაახლოებით 20 ათასი ადამიანის მკურნალობა მოხდეს.

**დავით სერგეენკო:**

**– 2015 წლის აპრილში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ წამოიწყო საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. პროგრამის საწყისი ფაზა ითვალისწინებს C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის სერვისებსა და უფასო მკურნალობაზე წვდომის უზრუნველყოფას C ჰეპატიტით ინფიცირებულ პირთათვის. მკურნალობა ხორციელდება, უწყვეტად უახლესი გენერაციის პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული პრეპარატით (სოფოსბუვირი), რომლითაც მკურნალობა უკვე დაიწყო 4 ათასზე მეტმა ადამიანმა.**



**ამჟამად მუშავდება C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული გეგმა (2016-2020), რომელიც მოიცავს ელიმინაციის მისაღწევად საჭირო სპეციფიკურ ამოცანებსა და აქტივობებს.**

მინისტრის თქმით, შეხვედრის მთავარი ამოცანაა კვლევის შედეგების წარმოჩენა, რომელზეც დაყრდნობითაც განისაზღვრება ახალი, უფრო მასშტაბური ელიმინაციის პროექტის დაწყების აუცილებლობა.

**– ჩვენ დღეს განვიხილეთ პირველი ნაწილი იმ კვლევის, რომელიც ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით, რამაც დაადასტურა, რომ ავადობა ძალიან მაღალია,** – განმარტა **სერგეენკომ.**

– საქართველომ 6 თვეში უზარმაზარ პროგრესს მიაღწია. ეს რეალურად ისტორიული მოვლენაა. ჩვენ ვცდილობთ ამ მეტად საშიში დაავადების ელიმინაციის პროგრამის განხორციელებას. ამჟამად იმყოფება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვან კონსულტაციებს გაუწევს საქართველოს მთავრობას პროგრამის შემდეგი განხორციელებისთვის, – განაცხადა აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელმა **ჯონ ვორდიმ.**

საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფმა პირველ დღეს განიხილა C ჰეპატიტის მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა, ჰეპატიტის სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევის შედეგები, ასევე C ჰეპატიტის პრევენციისა და კონტროლის საკითხებში არსებული გამოწვევები. ჯგუფი შეაფასებს ჩატარებულ სამუშაოებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრიორიტეტული ინტერვენციების, პროგრამის ინდიკატორებისა და ელიმინაციის მომდევნო ფაზების შესახებ. საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის ჩართულობა კვალიფიციურ გამოცდილებას შესძენს და ახალ პერსპექტივებს დაუსახავს საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამას.



სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, აშშ-ს ელჩი იან კელი, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი ჯონ ვარდი, ჰოპკინსის უნივერსიტეტის წარმომადგენელი კენ ნელსონი და საქართველოს დაავადებათა კონტოლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე; კონფერენციას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ აშშ საელჩოს, აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის; ემორისა და ჰოპკინსის უნივერსიტეტების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

**კონფერენცია დღეს, 4 ნოემბერს 09:00 საათიდან განახლდება. ხვალ საქართველოში ასევე ელოდებიან C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატის კომპანიის ვიცე პრეზიდენტსაც. კონფერენცია სამ დღეს გაგრძელდება. შეხვედრის ბოლოს კი, ხვალ, 5 ნოემბერს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ოფისი ჯანმოს პოლიტიკის, HCV სკრინინგის, მკურნალობისა და მზრუნველობის გაიდლაინის, ვირუსული ჰეპატიტის კუთხით, გლობალური ჯანმრთელობის სექტორის სტრატეგიის გასაცნობად ტექნიკურ კონსულტაციას გამართავს.**

# თბილისში მამა გაბრიელის მოედანი და გამზირი გაიხსნა

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა ვაკეში დარჩება

გულიკო ბალაძე



**თბილისში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ბერის, სალოსისა და აღმსარებლის, წმინდა მამა გაბრიელის მოედანი და გამზირი გაიხსნა.**

**კომუნისტური რეჟიმის ზეობის ხანაში, კომუნისტურ დღესასწაულზე, როცა მთელი საზოგადოება ზეიმობდა, აღლუმის დროს ბერი გაბრიელი მივიდა მთავრობის სასახლის წინ, 12-მეტრიანი ლენინის პლაკატი ჩამოაგდო და ცეცხლი წაუკიდა – ამ სატანას კი არ უნდა განადიდებდეთ, არამედ იესო ქრისტესო, რასაც მისი დაპატიმრება, შემდეგ კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამომწყვდევა მოჰყვა, მაგრამ წმინდანი ამან მაინც ვერ გატეხა.**

2 ნოემბერს ბერი გაბრიელის ხსენების დღეა. ამ დღეს უამრავი ხალხი შეიკრიბა ისანში წმინდანის სახელობის მოედნისა და გამზირის გახსნაზე. საკრებულოში ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ ზურაბ მეფარიძის განცხადებით, ხალხს სურს, ეს დღე დიდ საეკლესიო და საერო დღესასწაულად იქცეს.

მოედანზე მიაბრძანეს ბერი გაბრიელ სალოსის ახლადდაწერილი ხატი, ანჩისხატთან ერთად. შემდეგ ხატი მისი სახელობის გამზირის გავლით ნავთლუღში იმ ადგილზე გადააბრძანეს, სადაც წმინდა გაბრიელის სახელობის ეკლესია უნდა აშენდეს.

წმინდა ბარბარეს ეკლესიაში წმინდა მამას, აღმსარებელსა და სალოსს პარაკლისი გადაუხადეს.

გზად ხატი მიაბრძანეს წმინდა გაბრიელის სახლთან, სადაც ახლა მისი და ცხოვრობს. წმინდა ბერმა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, განმარტოებით, პატარა კელია ააშენა და თურმე იქ ორმოში იძინებდა.

ბერი გაბრიელ სალოსისა და აღმსარებლის ხატი გიორგი ეგნატაშვილმა დაწერა. 1 ნოემბერს ახლადდაწერილი ხატი საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დალოცა.



ბერი გაბრიელის სახელობის ტაძრის მშენებლობა უკრაინაშიც იწყება.

– წმინდა მამა გაბრიელი ჩვენი დიდი წინაპრების, ჩვენი ათონელი მამების, ჩვენი ხანძთელი მამების, ჩვენი ტაოკლარჯეთელი მამების ტრადიციებს აგრძელებდა და აგრძელებს დღესაც თავისი დიდი ლოცვით საქართველოს, ჩვენი შვილებისა და ჩვენი ოჯახების საცედრებლად, – განაცხადა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილმა.**

❖ ❖ ❖

– მაშინ ჯერ დეპუტატი არ ვიყავი, როდესაც მოსახლეობამ მთხოვა, ბერი გაბრიელისათვის მიგვეგო ის პატივი, რომელიც ეკუთვნოდა. ახლა ეს მოედანი (რესტორან „ასტორიის" წინა ტერიტორია, ნავთლუღის დასაწყისი), რომელიც ადრე ჩოლოყაშვილის ქუჩა იყო, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირია, – განაცხადა თბილისის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ისნის რაიონიდან **ზურაბ მეფარიძემ.**

ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო. ჩოლოყაშვილის ქუჩისათვის სახელის გადარქმევის წინააღმდეგი გახლდნენ ოპოზიცია და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია.

***– ბატონო ზურაბ, როგორ გადაწყდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის საკითხი? რამდენადაც ვიცი, საბურთალოზე უნდა გადაეტანათ.***

– მოსახლეობამ მოგვმართა თხოვნით (350 ხელმოწერაზე მეტი იყო), ჩოლოყაშვილის ქუჩისთვის ბერი გაბრიელის სახელი დაგვერქმია. გაირკვა, რომ თბილისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ორი ქუჩა არსებობდა.

***– როგორ მოხდა, რომ ორ ქუჩას ერქვა ერთი და იგივე სახელი?***

– არ ვიცი. ერთი ქუჩა აქ იყო, მეორე – ვაკეში. ამიტომ საკრებულომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ამ ქუჩას ბერი გაბრიელის სახელი დაერქვა, ვაკეში კი დარჩა ჩოლოყაშვილის სახელობის ქუჩა. დღეს რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ყოფილიყო, იმას იტყოდა და გააკეთებდა, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ. ახალი გზა რომ გაკეთდა, იქ დაერქვა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი სკვერს.

***– ახალი გზა სად კეთდება?***

– სადაც სტიქია იყო, საბურთალოზე გვირაბი რომ გადის, ქუჩა იქ გადაიტანეს. ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი კი არ დაკნინდა, თავისი ადგილი მიუჩინეს ქალაქის ცენტრში. ჩვენ ხომ მაინც პერიფერია ვართ.

ზურაბ მეფარიძე ამბობს, რომ ადამიანებს სამსახური ვერ მისცეს, თუმცა ბევრი რამის გაკეთება შეძლეს.

***– ალბათ, ბერი გაბრიელ სალოსის სული უფრო მშვიდად იქნება, თუ უპოვრებსა და სოციალურად შეჭირვებულებს დაეხმარებოდით. ამ მხრივ რა ხდება?***

– ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სულიერი სახლი აგვეგო, სადაც ყველა ივლიდა, მათ შორის, უპოვარი. მე ბერ გაბრიელს ვხედავდი ხოლმე, ბავშვები რომ მისდევდნენ. ჩვენ მასში წმინდანი ვერ ამოვიცანით. აქვე ახლოს ცხოვრობდა.

***– მასზე როგორი შეხედულება გქონდათ?***

– მე, პირადად, ფეხით გამოვლილს რომ დავინახავდი, ყოველთვის ვფიქრობდი, რატომ დადის ყოველდღე აქ, ბერის ადგილი ხომ მაინც სადღაც სხვაგან არის-მეთქი.

***– სადღაც მთაში, გამოქვაბულში ან უდაბნოში?***

– ისეთ ადგილზე, რომ განდეგილად ეცხოვრა. მერე და მერე მივხვდით, მას თავისი ცხოვრება ჰქონდა.

***– ბატონო ზურაბ, თქვენს რაიონში უსახლკაროთა თავშესაფარი კეთდება. მშენებლობის პროცესი რა ფაზაშია?***

– მიუსაფართა თავშესაფარი მალე დასრულდება. ბევრი მიუსაფარი აქ ჰპოვებს თავის სიმშვიდეს. ევროპული დონის თავშესაფარი კეთდება.

***– ხშირად შეჭირვებული ადამიანები სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანებისთვის შექმნილი სახელმწიფო პროგრამის მიღმა რჩებიან.***

– სოციალურად დაუცველი ძალიან ბევრია. ბევრია პროგრამის მიღმა დარჩენილიც. პირადად მე 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობ და ოფისში ვხვდები ყველას, ვინც მოისურვებს. ჩემთვის არ არის მიღების საათები. ყოველდღიურ რეჟიმში, საღამოს 11, 12 საათამდე აქ ვარ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# დაპატიმრებები ვატიკანში



დაპატიმრებულია ვატიკანის ორი მაღალი რანგის სამღვდელო პირი. მათ კონფიდენციალური დოკუმენტაციის მოპარვაში ედებათ ბრალი. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დაკავებულთა გვარები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

– ისინი იმ კომისიის წევრები იყვნენ, რომელიც კათოლიკური ეკლესიის რეფორმირების საკითხს სწავლობდა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

დასავლური მედია აღნიშნავს, რომ მომხდარი ვატიკანის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სკანდალია.

# პროვოკაცია ოდესაში

ოდესაში პრორუსულმა ძალებმა მორიგი პროვოკაცია მოაწყვეს. მათ პროფკავშირების სასახლესთან (რუსები მას რატომღაც კულიკოვოს ველს უწოდებენ) ე.წ. 2 მაისის მსხვერპლთა ხსოვნის საღამოს მოწყობა ცადეს.



ჩატარდა მიტინგი, სადაც გაისმა კონსტიტუციური წყობის ძალადობის გზით დამხობის მოწოდებები.

– დღეს უკრაინაში ფაშისტური ყაიდის რეჟიმი ბოგინებს! მას ამერიკის შეერთებული შტატები აფინანსებს და მფარველობს. ხალხნო, გამოდით, იარაღი აისხით და ეს რეჟიმი დაამხეთ! – განაცხადა ერთ-ერთმა გამომსვლელმა.

მომიტინგეები ამას არ დასჯერდნენ. ისინი უკრაინელთა მიმართ შეურაცხმყოფელ გამოთქმებსაც არ მოერიდნენ – „უკრაინელი ეროვნება კი არა, პროფესიაა" და ა.შ.

პოლიცია ამჯერადაც უმოქმედობას იჩენდა. მაშინ განმეორდა ის, რაც ოდესლაც 2 მაისს მოხდა, ანუ ოდესელებმა წესრიგის დამყარება თავის თავზე აიღეს.

– ხალხმა პროვოკატორები ცემა-ტყეპით გააძევა, – იტყობინება 112-ე არხი.

ამის შემდეგ უკრაინელმა პატრიოტებმა თავიანთი მიტინგი ჩაატარეს და ყველა უკრაინულ ძალას ერთიანობისკენ მოუწოდეს. პრორუსული ძალები მთელ ქალაქში მანქანებით დაქროდნენ და მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ ამაოდ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძიებო ღონისძიებების შედეგად 1974 წელს დაბადებული გიორგი კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა: „ვალტერის", „კოლტის", „სტეჩკინისა" და „ბრაუნინგის" ტიპის 5 პისტოლეტი, „პარაბელუმის" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, კარაბინის ტიპის იარაღი, 12 მჭიდი და 666 საბრძოლო ვაზნა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.



გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილით).

# ჯონ ქერი ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდა



გრძელდება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერის ვიზიტი შუა აზიაში. ქარიმოვთან შეხვედრის შემდეგ ქერი თურქმენეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა, ხოლო ამის შემდეგ ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევსაც ესაუბრა.

შუა აზიის ლიდერები შეშფოთებულნი არიან მეზობელ ავღანეთში თალიბანის გააქტიურებით.

ჯონ ქერიმ ამერიკის მთავრობის სახელით შუა აზიის ლიდერებს სრული სოლიდარობა გამოუცხადა და აღუთქვა, რომ ამერიკა მათ მხარს უჭერს და მომავალშიც მხარს დაუჭერს.

# ამერიკელი სამხედროები სირიაში არ იომებენ



ამერიკული სპეცრაზმი მალე სირიაში ჩავა. ამავე დროს, თეთრი სახლის წარმომადგენელმა ბენ როდლმა განაცხადა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებენ.

– ჩვენი ჯარის იქ ყოფნამ ხელი უნდა შეუწყოს მაღალი საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნებასა და ანტიტერორისტული ოპერაციის სათანადო დონეზე ჩატარებას, – განაცხადა როდლმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია შეიქმნას სიტუაცია, როცა ამერიკელ ჯარისკაცებს საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმა მოუწევთ. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს განცხადება ფრონტზე ისლამისტების უკანასკნელ წარმატებებს დაემთხვა.

– ასადის არმია ზარალს განიცდის. ტოტალური დაბომბვების რუსული ტაქტიკა არაეფექტურია, ამან მხოლოდ ისლამისტების პოზიციები განამტკიცა, – წერს ექსპერტი ბობ კლარკი.

მიუხედავად ამისა, რუსები თავიანთ ტაქტიკაზე უარს არ ამბობენ. ახლა დღის წესრიგში უძველესი ქალაქის პალმირას დაბომბვის საკითხი დგას. დღეისათვის მას ისლამისტები აკონტროლებენ.

# 19 ნოემბერს მთავარი პროკურორობის კანდიდატის ვინაობა გაირკვევა

საპროკურორო საბჭო მთავარი პროკურორობის კანდიდატს 19 ნოემბერს კენჭისყრაზე გამოავლენს.

იუსტიციის სამინისტროში გუშინ საპროკურორო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა. სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა, რომ დღეს ჩაატარეს საპროკურორო საბჭოს პირველი სხდომა, როგორც ამას კანონი ავალებდათ.

როგორც წულუკიანმა აღნიშნა, საპროკურორო საბჭოში არის 8 პროკურორი, 2 მოსამართლე, 1 ადვოკატი, 1 აკადემიური წრეებიდან წარმომადგენელი და 1 დეპუტატი.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, ამ საბჭოს ფუნქცია არ არის რომელიმე საქმეზე გამოძიების ჩატარება ან პროკურატურის ორგანოებისთვის მითითება, ესა თუ ის საქმე როგორ გამოიძიოს.



მისივე განმარტებით, ამ საბჭოს აქვს უფლება, შეარჩიოს მთავარი პროკურორობის კანდიდატი.

**თეა წულუკიანი:**

– დღეისათვის შემოსულია 3 კანდიდატურა. ესენია: კახი კახიშვილის, ირაკლი შოთაძის და პაატა შავაძის.

კახი კახიშვილმა მოხსნა კანდიდატურა და აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, მე მის შეყვანას სამკაციან სიაში ველარ შევძლებ. კონსულტაციები, იუსტიციის მინისტრსა და აკადემიურ წრეებს, არასამთავრობოებს შორის გაგრძელდება 13 ნოემბრამდე.

19 ნოემბერს, 11 საათზე საბჭო ისევ შეიკრიბება, სამი პირისგან შემდგარ სიას განიხილავს, უყრის კენჭს და რომელი კანდიდატურაც მიიღებს უფრო მეტ ხმას, ის იქნება წარდგენილი მთავრობის წინაშე.

ჩვენ შევთანხმდით იმ თავისებურებებზე, როგორ უნდა ჩატარდეს კენჭისყრა 19 ნოემბრის სხდომაზე, ჩვენ უნდა გვქონდეს ბიულეტენები, ყუთი, დამკვირვებლებსაც მოვიწვევთ, ვისაც სურვილი ექნება, მათ შორის, მედიას და 19 ნოემბრის შემდეგ მე უკვე შევძლებ, რომ გამარჯვებული კანდიდატი წარვუდგინო მთავრობას, რომელიც თავის მხრივ, ამ კანდიდატს ასარჩევად გადააგზავნის პარლამენტში.

რაც შეეხება იმას, რომ კანდიდატებს შორის უნდა იყოს ერთ-ერთი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, წულუკიანის განცხადებით, ჯერჯერობით ქალი კანდიდატურა არ შესულა და თუ ეს ასე იქნება ბოლომდე, მაშინ იუსტიციის მინისტრს მოუწევს შეარჩიოს ქალი-კანდიდატი და შეიყვანოს სამკაციან სიაში.

**ინტერპრესნიუსი**

*დღეს მედიცინა ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივ პროდუქტებზე დამზადებულ წამლებს ანიჭებს უპირატესობას. საქართველოში ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები.*

*თოდუების გვარის წარმომადგენელია ლამარა თოდუა, რომელიც წარმატებით მიჰყვება თავის საქმიანობას. ამაზე მეტყველებს მადლიანი პაციენტების უამრავი ჩანაწერი.*

*ლამარა თოდუა აცხადებს, რომ მის საგვარეულო წამლებს უკუჩვენება არ აქვს.*

**ლამარა თოდუა:**

**● ვკურნავ ნაწოლებს ყოველგვარი ნაწიბურის გარეშე. მცენარეული ნაყენებით გაგიწმენდთ ორგანიზმს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის.**

**● ვარჩენ „პრიშჩიკებს", ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტისგან განიკურნებით 10 დღეში. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას.**

**● ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ თმის ჩაბრუნებას, რომელიც სრულად იკურნება.**

● ● ●

**ლამარა თოდუა პროფესიით კოსმეტოლოგია, ამიტომ გთავაზობთ კანის გაწმენდას ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. მის მიერ დამზადებული მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა.**

**მის.: ოთარ ჭილაძის ქ. №166; №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან; ტელ.: 230-62-52; 599-16-10-82**

## განცხადებები

### ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

### მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები". კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლალიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი", კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

### იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

### ნათელმხილველი

● ნათელმხილველი დარეჯანი ისრაელში მუშაობის შემდეგ მიღებას აგრძელებს თბილისში. მიღება წინასწარი ჩაწერით. აქვე მოიხსნით მრავალი სახის პრობლემას. ტელ: 555-75-90-62.

# ძალოსნები დუშეთში ემზადებიან




21-28 ნოემბერს ჰიუსტონი ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.

აშშ-ში, მედლებთან ერთად, 2016 წლის რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება.

ოლიმპიადის ლიცენზიები გასული და ახლანდელი მსოფლიოს პირველობის შედეგების გათვალისწინებით გაიცემა. გუნდების მიერ ნაჩვენები შედეგები დაითვლება და 1-დან მე-6 ადგილამდე გასული ნაკრებები ექვს ლიცენზიას აიღებენ, მე-7-დან მე-12 ადგილამდე გასული გუნდები ხუთ ლიცენზიას, 13-დან მე-18 ადგილის ჩათვლით ოთხი საგზური გაიცემა, ხოლო 19-დან 24-ე ადგილის ჩათვლით – სამი.

სადღეისოდ, საქართველოს ნაკრები სალიცენზიო რეიტინგში 27-ე ადგილზეა. სამწვრთნელო შტაბის მიზანია მინიმუმ 24-ე ადგილზე გასვლა და 3 ლიცენზიის მოპოვება.

ამის წინაპირობა ჩვენს ნაკრებს აქვს, რადგან გუნდს დაემატა მძიმეწონოსანი ლაშა ტალახაძე, რომელმაც დოპინგზე ჩავარდნის გამო დისკვალიფიკაცია მოიხადა.

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები ამ ტურნირისთვის დუშეთის ოლიმპიურ ცენტრში ემზადება.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე აშშ-ში 10 ძალოსანს წაიყვანს. ეროვნული გუნდი 8 ვაჟით და 2 გოგონათი დაკომპლექტდება. გოგონათა გუნდს უკრაინიდან ანასტასია გოტფრიდი დაემატა, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**ვაჟები**: რამინ შამილიშვილი (62 კგ), შოთა მიშველიძე (69 კგ), გიორგი ლომთაძე (77 კგ), რაულ ცირეკიძე (94 კგ), გია მაჭავარიანი, გიორგი ჩხეიძე (ორივე 105 კგ), ლაშა ტალახაძე, ირაკლი თურმანიძე (ორივე მძიმე).

**გოგონები**: თათია ლორთქიფანიძე (63 კგ), ანასტასია გოტფრიდი (მძიმე).

# ხელბურთელები შესარჩევ ეტაპს ისრაელში იწყებენ




ხვალ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს იწყებს. ჩვენების გარდა, ისრაელის დედაქალაქ თელ ავივში მასპინძლების, პორტუგალიისა და ესტონეთის ნაკრებები შეიკრიბნენ.

შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის, ამიტომ ყველა მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამასთან, გრაფიკი დატვირთულია და გუნდებს 3 დღის განმავლობაში მოუწევთ ერთმანეთთან შეხვედრა.

**გრაფიკი ასეთია:**

**5 ნოემბერი**: პორტუგალია-ესტონეთი, ისრაელი-საქართველო

**6 ნოემბერი**: ესტონეთი-ისრაელი, საქართველო-პორტუგალია

**7 ნოემბერი**: ესტონეთი-საქართველო, პორტუგალია-ისრაელი.

საქართველოს ნაკრები ახალი მწვრთნელების, ლევან გელაშვილისა და გიორგი გვაზავას ხელმძღვანელობით, ერთი კვირა ემზადებოდა გლდანში, ცერცვაძის აკადემიაში, ხოლო ბოლო ოთხი ვარჯიში, ორშაბათსა და სამშაბათს, უკვე სპორტის სასახლეში გაიმართა.

ისრაელში გაემგზავრა 16 ხელბურთელი, მათ შორის 3 დებიუტანტია: ირაკლი კბილაშვილი (17 წლის), გიგა კოხრეიძე (18) და გიორგი დიხამინჯია (19). წინასწარ გამოცხადებულ 28 კაციან რაზმს მოგვიანებით დაემატნენ გიგა ტორონჯაძე და ზურაბ სიმონია და ორივე მოხვდა საბოლოო შემადგენლობაში.

ნაკრებს უკვე შემოუერთდა ყველა ლეგიონერი. ოჯახური მიზეზების გამო დაგვაკლდება მხოლოდ ვლადიმერ რუსია.

**ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია:**

**მეკარეები:** შოთა თევზაძე (რეშიცა, რუმინეთი), გიგა ტორონჯაძე (სტუ);

**მარცხენა გარემარბები**: უჩა გამზარდია (ფოთი), ირაკლი კბილაშვილი (ქუთაისი);

**მარჯვენა გარემარბები**: რევაზ ჭანტურია (სტრუმიცა, მაკედონია), გიორგი დიხამინჯია (პეგასი);

**პივოტები**: უჩა მაისურაძე (ბათუმი), გიგა კოხრეიძე (პეგასი), ლევან ბერძენიშვილი (ბათუმი);

**უკანა ხაზი**: ირაკლი ჩიქოვანი (ტიმიშოარა, რუმინეთი), სერგო დათუკაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი), რატი მსხვილიძე (აქჩაბათი, თურქეთი), ლექსო წითელიშვილი, ზურაბ სიმონია (სამტრედია), თემურ ორჯონიკიძე (სტუ), აკაკი ტალახაძე (თავრიზი, ირანი).

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ჩემპიონთა ლიგა ეკვატორს გადასცდა

**დღეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურის მეორე სათამაშო დღეა. ჯგუფური ეტაპი დასასრულს უახლოვდება და ჯერ გასარკვევი ბევრი რამ არის. ამიტომაც დღე საინტერესო უნდა იყოს.**



## სტატისტიკა, ფსონები

### ე ჯგუფი

**ბარსელონა – ბატე**

**1.08 9.0 34.0**

წყვილის ფავორიტი ნათელია. ბორისოველთა ერთადერთ ამოცანად რჩება მიზანი, გაუტანს თუ არა ბურთს ბარსელონას. ორი კვირის წინ ბარსამ ბელარუსში რაკიტიჩის წყვილი გოლით მოიგო, ხოლო 2011 წელს ორი მატჩის ჯამში ბატე 9:0 დაამარცხა.

ბელარუსელები კატალონიაში დანაკლისით ჩადიან: ტრავმების გამო ბატეს ვერ დაეხმარებიან ალექსანდრ გლები, ვიტალი როდიონოვი და მაქსიმ ჟავნერჩიკი. თავის მხრივ ბარსა ასევე ტრავმირებულებს – ლეო მესისა და რაფინიას მოისაკლისებს.

**რომა – ლევერკუზენი**

**2.15 3.3 3.4**

ან გუნდების წინა წრის მატჩი ბევრს ემახსოვრება. ლევერკუზენი საკუთარ მოედანზე ჯერ 2:0 დაწინაურდა, შემდეგ 2:4 ჩამორჩა და ბოლოს 4:4 დაასრულა.

რომას წაფორხილების უფლება აღარ აქვს. ქულების განიავება არც ლევერკუზენის გეგმებში ზის. რომ იტყვიან, 6-ქულიანი მატჩია – მოგებული პლეი ოფისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს.

დანაკლისი ორივე გუნდს საკმაო აქვს: რომას არ ეყოლება ფრანჩესკო ტოტი, საეჭვოა დანიელე დე როსისა და სეიდუ კეიტას თამაში. ფარმაცევტები კი რობერტო ჰიბერტს მოისაკლისებენ, ხოლო ლარს ბენდერის თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

პირველ მატჩზე გითხარით და ეს გუნდები კიდევ ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 2004 წელს ლევერკუზენში მასპინძლებმა 3:1 მოიგეს, ხოლო რომში შეხვედრა 1:1 დასრულდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 2.ლევერკუზენი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:7 | 4 |
| 3.ბატე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| 4.რომა | 3 | 0 | 2 | 1 | 7:8 | 2 |

### ფ ჯგუფი

**ბაიერნი – არსენალი**

**1.4 5.0 7.0**

კარგად ნაცნობი მეტოქეების პირველი ჯახი არსენალმა 2:0 მოიგო. არადა, იმ მატჩის სტატისტიკით ვერავინ იფიქრებდა თუ ლონდონელებს დარჩებოდათ გამარჯვება. ურთიერთშეხვედრებში ბაიერნს ოდნავი უპირატესობა აქვს (4 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება), მაგრამ საჭირო მომენტში ყოველთვის გერმანელები იგებდნენ.

ახლა ქულები ორივე გუნდს სჭირდება. არსენალმა ბლომად ანიავა, მაგრამ იქ აიღო, სადაც არავინ ელოდა. ბაიერნს უპირატესობა აქვს – გუნდით და მასპინძლის სტატუსით.

არსენალი განახევრებული ეწვევა ბავარიის მიწას. მიკელ არტეტა, დავიდ ოსპინა, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, აარონ რამზი, ტომაშ როსიცკი, ტეო უოლკოტი, დანი უელბეკი და ჯეკ უილშირი ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ლონდონელებს სათამაშოდ ვერ გაჰყვნენ. დანაკლისი ბაიერნსაც აქვს – ფრანკ რიბერი და მარიო გიოტცე.

**ოლიმპიაკოსი – დინამო (ზ)**

**1.44 4.2 8.0**

ოლიმპიაკოსმა წინა ტურში იდეიეს გვიანი გოლით მოიგო ზაგრებში და ამით სერიოზული განაცხადი გააკეთა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, მაგრამ წინ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლები აქვს გადასატანი.

თავის მხრივ, დინამოსთვისაც ბოლო შანსია ეს მატჩი, რადგან შემდეგ ფავორიტებთან უწევს დაჯახება. ერთია, დინამოს პირეოსში თამაში უჭირს. აქამდე ჩატარებული 2 მატჩიდან ორივე დათმო (0:2 და 1:3) და დღეს ეცდება ამ უსიამოვნო ტრადიციის დამსხვრევას.

ოლიმპიაკოსს ტრავმირებული ჰყავს ალეხანდრო დომინგესი, ხოლო ესტებან კამბიასოს თამაში საეჭვოა. დინამოს ივო პინტუ და ელ არაბი ჰილალ სუდანი დააკლდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| 2.ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| 3.არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 3 |
| 4.დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |

### გ ჯგუფი

**ჩელსი – დინამო (კ)**

**1.73 3.5 5.0**

კრიზისში მყოფი ლონდონელების შანსი მხოლოდ მოგებაა. ჟოზე მოურინიუს შეგირდები მიმდინარე სეზონში ცუდად გამოიყურებიან და ყველა ასპარეზზე ირთულებენ საქმეს. დღეს მოგება უნდათ და საამისოდ ემზადებიან. თუმცა, ტიბო კურტუას, დიეგო კოშტას, ბრანისლავ ივანოვიჩისა და პედრო როდრიგესის გარეშე.

კიეველები კი ინგლისის დედაქალაქში დანაკარგის გარეშე არიან ჩასულნი და არც ქულების დაკარგვას აპირებენ.

პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის უგოლოდ დასრულდა. მეტჯერ ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან.

**მაკაბი – პორტუ 7.0 4.0 1.5**

ებრაელები პირველი ქულისა და პირველი გოლის მოლოდინში არიან. საამისოდ კი დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ, რადგან პორტუ აშკარა ფავორიტია და მოგების შემთხვევაში პლეი ოფში გასვლის საკითხს ნაადრევად გადაჭრის.

მაკაბის საქმეს ისიც ურთულებს, რომ ტრავმები აწუხებთ ელი დასას, ბარაკ იტჟაკსა და დეიან რადონიეჩს.

პირველ წრეში პორტუმ შინ 2:0 მოიგო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| 2.დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3.ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:2 | 4 |
| 4.მაკაბი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

### ჰ ჯგუფი

**ლიონი – ზენიტი 2.37 3.1 3.1**

ზენიტისგან ასეთ სტარტს არავინ ელოდა და სანკტპეტერბურგელები ქულადაუკარგავად ლიდერობენ ჯგუფს. ლიონის წინაშე კი რთული ამოცანაა. ფრანგები ალბათ პლეი ოფში ველარ გავლენ, მაგრამ შეუძლიათ, ევროპის ლიგაზე გადაერთონ. საამისოდ მოგება უნდათ.

პირველი მატჩი ზენიტმა 3:1 მოიგო. ახლა რუსები ლიონს ვიქტორ ფაიზულინის გარეშე ეწვივნენ, მასპინძლები კი საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდებიან.

**გენტი – ვალენსია 3.5 3.3 2.1**

ეს გენტის ბოლო შანსია, თუმცა ბელგიელებს ძალიან გაუჭირდებათ მისი გამოყენება. ვალენსია აბდენურის, როდრიგოსა და რიანის გარეშე კი ჩავიდა ბელგიაში, მაგრამ ოპტიმისტური განწყობით. გენტს არავინ დააკლდება, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელის თამაში საეჭვოა.

ვალენსიამ წინა მატჩი 2:1 მოიგო. გენტს ადრეც შეხვედრია და საშინაო მატჩი 2:0 მოიგო, ხოლო ბელგიაში გუნდები უგოლოდ დაშორდნენ. იმედია, დღეს ასეთი მოსაწყენი თამაში არ იქნება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:4 | 9 |
| 2.ვალენსია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| 3.გენტი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| 4.ლიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

# შედეგები

## ფეხბურთი

### 2 ნოემბერი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-ასტონ ვილა ................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 8 | 1 | 2 | 26-9 | 25 |
| 2.არსენალი | 11 | 8 | 1 | 2 | 21-8 | 25 |
| 3.ლესტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 23-19 | 22 |
| 4.მანჩესტერი | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 5.ტოტენჰემი | 11 | 5 | 5 | 1 | 19-9 | 20 |
| 6.ვესტ ჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 22-15 | 20 |
| 7.საუთჰემპტონი | 11 | 4 | 5 | 2 | 18-13 | 17 |
| 8.ლივერპული | 11 | 4 | 5 | 2 | 12-12 | 17 |
| 9.ევერტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| 10.კრ პალასი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-11 | 16 |
| 11.უოტფორდი | 11 | 4 | 4 | 3 | 10-10 | 16 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-14 | 14 |
| 13.სუონსი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-15 | 13 |
| 14.სტოკი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-12 | 13 |
| 15.ჩელსი | 11 | 3 | 2 | 6 | 16-22 | 11 |
| 16.ნორვიჩი | 11 | 2 | 3 | 6 | 15-23 | 9 |
| 17.ბორნმუთი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-24 | 8 |
| 18.ნიუკასლი | 11 | 1 | 4 | 6 | 12-22 | 7 |
| 19.სანდერლენდი | 11 | 1 | 3 | 7 | 13-25 | 6 |
| 20.ასტონ ვილა | 11 | 1 | 1 | 9 | 10-20 | 4 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-კარლსრუე ................ 0:0

**იტალია. სერია ა**

კიევო-სამპდორია ........................ 1:1

პალერმო-ემპოლი ........................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ფიორენტინა | 11 | 8 | 0 | 3 | 22-9 | 24 |
| 2.ინტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 11-7 | 24 |
| 3.რომა | 11 | 7 | 2 | 2 | 25-13 | 23 |
| 4.ნაპოლი | 11 | 6 | 4 | 1 | 21-8 | 22 |
| 5.სასუოლო | 11 | 5 | 4 | 2 | 13-10 | 19 |
| 6.მილანი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-16 | 19 |
| 7.ლაციო | 11 | 6 | 0 | 5 | 16-18 | 18 |
| 8.ატალანტა | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| 9.სამპდორია | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| 10.იუვენტუსი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-10 | 15 |
| 11.ტორინო | 11 | 4 | 3 | 4 | 17-17 | 15 |
| 12.ემპოლი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-15 | 14 |
| 13.კიევო | 11 | 3 | 4 | 4 | 14-11 | 13 |
| 14.ჯენოა | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 15.უდინეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 10-14 | 12 |
| 16.პალერმო | 11 | 3 | 2 | 6 | 11-16 | 11 |
| 17.ფროზინონე | 11 | 3 | 1 | 7 | 9-16 | 10 |
| 18.ბოლონია | 11 | 3 | 0 | 8 | 9-15 | 9 |
| 19.ვერონა | 11 | 0 | 6 | 5 | 8-17 | 6 |
| 20.კარპი | 11 | 1 | 3 | 7 | 10-23 | 6 |

**იტალია. სერია ბ**

კალიარი-ვიჩენცა ........................ 2:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლანსი-ნანსი ................................ 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ტერეკი .............................. 1:0

როსტოვი-დინამო ........................ 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ირაკლისი-ატრომიტოსი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

კორონა-ტერმალიცა 0:1

პოდბესკიჟიე-იაგელონია 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-სონდერიისკე .................. 0:0

## კალათბურთი

### 3 ნოემბერი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ფილადელფია-კლივლენდი .... 100:107

ბრუკლინი-მილუოკი ................ 96:103

ნიუ იორკი-სან ანტონიო ............ 84:94

ჰიუსტონი-ოკლაჰომა ............ 110:105

მინესოტა-პორტლენდი .......... 101:106

გოლდენ სტეიტი-მემფისი ........ 119:69

კლიპერსი-ფინიქსი .................. 102:96

## ჰოკეი

### 3 ნოემბერი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ტორონტო-დალასი ........................ 4:1

ჩიკაგო-ლოს ანჯელესი ................ 4:2

ვანკუვერი-ფილადელფია ............ 4:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# „შუალედურმა არჩევნებმა ტოტალური გაყალბების ფონზე ჩაიარა“

**არასაპარლამენტო ოპოზიციის განცხადებით, შუალედურ არჩევნებში ხელისუფლებამ აჩვენა, თუ როგორ აპირებს „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.**

**მათი თქმით, შუალედურმა არჩევნებმა ტოტალური გაყალბების ფონზე ჩაიარა.**



ამის შესახებ არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

– როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტისა და საკრებულოს შუალედურ არჩევნებში ყველა (5-ვე) საარჩევნო ოლქში გამარჯვება მიიტაცა მმართველმა პარტიამ. საქართველო კიდევ ერთხელ ჩადგა ყველაზე უფრო ავტორიტარული რეჟიმების რიგში, სადაც საარჩევნო ოლქების 100%-ს სახელისუფლებო გუნდი იგებს.

ბრეჟნევის დროის „საუკეთესო“ ტრადიციებში ერთ-ერთ (ვანის) საარჩევნო ოლქში მმართველმა პარტიამ ხმების 100% მიიღო.

არჩევნებმა ჩაიარა ტოტალური გაყალბების ფონზე. ხელისუფლებამ გამოიყენა ყველა მეთოდი, რომლებსაც გასულ წლებში „მოქალაქეთა კავშირი“ და შემდეგ ნაციონალური მოძრაობა მიმართავდნენ არჩევნების გასაყალბებლად: ადმინისტრაციული რესურსების, შეიარაღებული ძალების, პოლიციისა და სუს-ის მობილიზება და საარჩევნოდ გამოყენება, რაც დაგვირგვინდა დღის დასასრულს, როდესაც პირადად თავდაცვის მინისტრი აგროვებდა საუბნო კომისიების ოქმებს და აჯამებდა ხმებს.

ტოტალურ გაყალბებას ადასტურებს ის ერთადერთი პარტიაც კი, რომელიც მონაწილეობდა არჩევნებში და ხელისუფლების მიმართ შედარებით კონსტრუქციული მიდგომებით გამოირჩევა – „პატრიოტთა ალიანსი“. მიუხედავად იმისა, რომ ბოიკოტის საკითხზე არსებობდა განსხვავებული პოზიცია და დაპირისპირება, არასაპარლამენტო ოპოზიცია ბოლომდე იბრძოლებს გაყალბებული არჩევნების შედეგების გასაბათილებლად და გამარჯვებული კანდიდატის ხმების დასაცავად.

შუალედურ არჩევნებში ხელისუფლებამ აჩვენა, თუ როგორ აპირებს „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. ამ ვითარებაში გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს არასაპარლამენტო ოპოზიციისა და საზოგადოების გაერთიანება ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა ეს უკანასკნელი იძულებული გახდეს, გაატაროს საარჩევნო რეფორმა, გააუქმოს მაჟორიტარული სისტემა და 2016 წელს მშვიდობიანი გზით გადააბაროს ქვეყნის მართვის სადავეები დემოკრატიულ ძალებს, – ნათქვამია განცხადებაში.

აღნიშნულს განცხადებას ხელს „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი, „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით-თარხან მოურავი, „რეფორმატორების“ ლიდერი ირაკლი ღლონტი, „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“ ლიდერი ზურაბ ხარატიშვილი და „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერი გოჩა ჯოჯუა აწერენ.

**ნიუსპრესი**

# ირაკლი ღარიბაშვილი ესტონეთის პრეზიდენტს შეხვდა



ესტონეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საქართველოს მთავრობის მეთაურს ირაკლი ღარიბაშვილს ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტოომას ჰენდრიკ ილვესმა სასახლეში უმასპინძლა.

ტოომას ჰენდრიკ ილვესი სტუმარს საპატიო ყარაულით დახვდა.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის საკითხები, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესები, არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს.

მხარეებმა საქართველო-ესტონეთის ურთიერთობების სტრატეგიულ საკითხებზე იმსჯელეს. ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის გააქტიურებულ თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში.

პირისპირ გამართული შეხვედრის შემდეგ საუბარი გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. ტოომას ჰენრიკ ილვესმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ორი ქვეყნის განსაკუთრებული პარტნიორობის დადასტურებად შეაფასა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებში მტკიცე მხარდაჭერის მზადყოფნა კიდევ ერთხელ გამოთქვა.

შეხვედრაზე ყურადღება ვარშავის სამიტისთვის მზადების პროცესზე გამახვილდა. ხაზი გაესვა არსებით ღონისძიებათა პაკეტით გათვალისწინებული ყველა ელემენტის განხორციელების დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობას და გამოითქვა იმედი, რომ სამიტზე საქართველოს მიერ ნატოში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი ადეკვატურად აისახება.

ირაკლი ღარიბაშვილმა საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერი გააკეთა:

– ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, რომელიც არის ჩემი ძველი მეგობარი. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა ეხებოდა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს. მე, ჩემი მხრივ, მივაწოდე ინფორმაცია ესტონეთში მიმდინარე პროცესებზე, – განაცხადა ესტონეთის პრეზიდენტმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

გაფართოებულ შეხვედრას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძე და ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თეა ახვლედიანი დაესწრნენ.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ეუთოსთან მუდმივი წარმომადგენლების ჯგუფი საოკუპაციო ხაზს ეწვია

საქართველოში ვიზიტით მყოფმა ეუთოსთან აშშ-ის, კანადის, ლიტვის, რუმინეთისა და შვედეთის მუდმივმა წარმომადგენლებმა წეროვნის იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური დასახლება მოინახულეს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს გაეცნნენ.



მუდმივი წარმომადგენლები ასევე საოკუპაციო ხაზზე, სოფელ ხურვალეთში იმყოფებოდნენ.

მათ ადგილზე შეაფასეს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ მავთულხლართების აღმართვის შედეგად შექმნილი მძიმე ჰუმანიტარული ვითარება, საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას პირადად გაესაუბრნენ და მათგან არსებული პრობლემების თაობაზე ინფორმაცია მიიღეს.

**ნიუსპრესი**

**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

**სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.**

**მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.**

**მობ. ტელ: 599-73-48-21**

# ასტროპროგნოზი

## 4 ნოემბრისათვის



**ვერძი** – თავმდაბლად იმუშავეთ. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება თქვენგან დიდ ყურადღებასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. პარტნიორთან კონფლიქტს მხოლოდ გულითადი საუბრით მოაგვარებთ. **კურო** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ნუ გარისკავთ. კომერციული საქმიანობა და ბიზნესმოლაპარაკებები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დასვენება და გართობა თქვენთვის აუცილებელია. შესაფერისი დღეა ოჯახური დღესასწაულებისათვის, სტუმრების მისაღებად. დღის მეორე ნახევარში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებია მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებში ჩართვას. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. გარშემომყოფები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **ლომი** – წარმატებული პერიოდი გაქვთ. თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. საზრიანობა და მოვლენების სალად აღქმის უნარი ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში გეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე დაძაბული და კონფლიქტური დღეა. გარშემომყოფებთან ურთიერთობისას ემოციები მოთოკეთ ან თქვენთვის არასასურველ ადამიანებს საერთოდ გაეცალეთ. **სასწორი** – საკუთარ თავზე იზრუნეთ. არ გადაიღალოთ. თქვენი ჯანმრთელობისათვის დღეს საჭიროა დასვენება მყუდრო გარემოში. **ღრიანკალი** – სიფრთხილე გამოიჩინეთ ნებისმიერ სიტუაციაში. გარისკვა დღეს რეკომენდებული არ არის. ერიდეთ საეჭვო ნაცნობობას. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ. პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გელით. თქვენი დიპლომატია და შორსმჭვრეტელობა დღეს უთუოდ წაგადგებათ. **თხის რქა** – დასვენების დროა. ყოველგვარი აქტიურობა მინიმუმამდე დაიყვანეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. **მერწყული** – დაფიქრდით, საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მშვიდი და გულითადი საუბრის შედეგად მოხერხდება. **თევზები** – საქმიანი და ყოფითი კონტაქტები შეამცირეთ. თავი აარიდეთ უსარგებლო საუბრებს. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ფრანგი კომიკოსი; 3. სამშენებლო მინერალი, მოწითალო ფერის, ძვირფასი მოსაპირკეთებელი მასალა; 4. თავაშვებული ქეიფი, დროსტარება; 6. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 8. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. ავსტრალიური სირაქლემასნაირი მორბენალი ფრინველი; 16. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი.

**თარაზულად:** 1. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 5. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 7. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 9. აკრძალვა პროდუქციის შემოტანაზე სახელმწიფოში; 10. შევარდენისნაირთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი; 13. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 14. საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 15. კუთხე საქართველოში; 19. ძველებური სასუნთქი თამბაქო; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილი; 22. ბგერის ნახევარტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სხალთა; 2. ლენა; 3. გალომანია; 4. ტანგო; 5. მანტისა; 8. იაფეტი; 9. პოლიფონია; 12. შულერი; 14. რატუშა; 14. „ელისო“.

**თარაზულად:** 1. სერვოლანი; 6. ჯაბახანა; 7. ალბიონი; 9. პაროლი; 10. „გომი“; 11. ბეითალი; 13. პორტა; 15. ბურიმე; 17. ბალასტი; 18. გერანი; 19. ქაფშია; 20. კობალტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭოროხი; 2. თუშეთი; 3. სპარინგი; 4. ბისტრო; 6. „ბარახასი“; 8. დრეიფი; 11. ტალავარი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. მანგო; 18. დაიმი.

**თარაზულად:** 1. ჭიათურა; 5. „სააბი“; 7. ოპუნცია; 9. ომმეტრი; 10. ატაკამა; 13. ფარგალი; 14. ოაზისი; 15. იუტა; 19. „მარტინი“; 20. საფერავი; 21. გარპაგონი; 22. ციცაგი.

# რატი ამაღლობელი: „თუ ვცდები, გამისწორეთ!“



პოეტი რატი ამაღლობელი ბოლო დროს სახელოვნებო სფეროში განვითარებულ მოვლენებს საჯაროდ ეხმიანება და თავის პოზიციას ღიად აფიქსირებს.

**რატი ამაღლობელი:**

– ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავწყვიტოთ, ან ვებრძვით ჩვენთვის მიუღებელ ნაწარმოებებს; ლიტერატურულს, მხატვრულს, ფერწერულს, მუსიკალურს და ა.შ.

ვგმობთ, ვქოლავთ, ახალგაზრდა მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებს და „ვიცავთ სიწმინდეებს“, შინაგანად ვიყინებით მკვდარ და მზა კლიშეებში, გვაშინებს ყველაფერი ახალი და გვემართება „ელეთ-ბნელეთი“, ვკეტავთ ქვეყანას და ვხდებით ირანი, რადგან ახლო სამეზობლოში ყველაზე მეტი ლტოლვილი ხელოვანი, თუ არ ვცდები, სწორედ ამ ქვეყნიდანაა, თუ ვცდები – გამისწორეთ.

ანდა მარტივად ვამბობთ, რომ ამ ქვეყანაში არის გამოთქმის და გამოხატვის თავისუფლება, რომ მხატვარს, მწერალს, მომღერალს შეუძლია, რაც უნდა ის ხატოს, წეროს, იმღეროს, რომ ამის გამო ჩვენს ქვეყანაში არ გამოაცხადებენ მათ მოღალატეებად, შეჩვენებულებად და მათკენ არ წამოვა ზიზღის, სიძულვილისა და აგრესიის სიცოცხლისთვის საშიში ნიაღვარი.

მე მგონია, უკვე უნდა ავირჩიოთ ამ ორიდან ერთი.

მე ვირჩევ გამოხატვისა და განსაკუთრებით ხელოვანის შემოქმედებითი გამოხატვის თავისუფლებას. ის (თავისუფლება) ან არის, ან არ არის.

ვინ უწესებს მას ნორმებს და სტანდარტებს, საკუთარი შინაგანი სინდისის ხმის გარდა – ვერავინ.

# რას აპროტესტებს „პრადას“ რჩეული მოდელი?



მსოფლიო ბრენდის „პრადას“ რჩეული ქართველი მოდელი ელენე მახარაშვილი საქართველოში მოდელებისადმი არასათანადო მოპყრობას აპროტესტებს და ამ სფეროში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე საუბრობს.

**ელენე მახარაშვილი:**

– ძალიან მერიდება ამ თემაზე ლაპარაკი და ყოველთვის თავს ვარიდებ ხოლმე, რომ ხალხს არ ეგონოს, ჩემი უცხოეთში გაფორმებული კონტრაქტებით რამე თავში ამივარდა, მაგრამ ეს ის მომენტია, როდესაც მართლა არ შემიძლია ამაზე ხმა არ ამოვიღო...

ბევრი ადამიანისთვის მოდელობა, სამწუხაროდ, მხოლოდ „უკანალის ქნევაა“ და ვერ ხვდება ალბათ და ვერც წარმოუდგენია რამხელა შრომა, ძალისხმევა და მოთმინება გჭირდება მოდელობისთვის. ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაოა, რომელიც საქართველოში სათანადოდ არასდროს ფასდება.

ყველას ყველაფერი ნაცნობობით და უფასოდ უნდა! ფოტოგრაფებს ამდენს ფულს რომ უხდით და მოდელები უფასოდ გინდათ იმიტომ, რომ ჩვენ ფოტოები დაგვრჩება და საერთოდ არ გვჭირდება არანაირი ჰონორარი.

დასაწყისისთვის ალბათ ყველას ეხალისება და მეც მეხალისებოდა სურათები, მაგრამ 5 წლის თავზე, მაპატიეთ, არც ფოტოები მინდა და არც პოდიუმზე უფასოდ „უკანალის ქიცინი“. არ მინდა ცუდად მიიღოთ ეს ჩემი სტატუსი, უბრალოდ გთხოვთ, გაითვალისწინოთ და დაგვაფასოთ. მადლობა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კერძოდ, გუან ჯოუს ვიცე-მერი და სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები ეწვივნენ.

შეხვედრას შს მინისტრის მოადგილე დავით ხუციშვილი და სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის უფროსები ესწრებოდნენ. გაცნობით შეხვედრაზე სტუმრებს სამინისტროში განხორციელებული რეფორმები და დაგეგმილი სიახლეები გააცნეს.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებულ თანამშრომლობაზე და სამომავლო გეგმები დასახეს.



# „ნიჭიერი“ სკანდალში ეხვევა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გაყვა ბებიასთან ერთად და მთელი ზაფხული დაყავდათ რაღაც ჩაწერებზე. აქეზებდნენ, ნიჭიერი ხარ, ულამაზესი ხარ, საუკეთესო ხარ... ამასაც სჯეროდა და იმედი ჰქონდა, რომ გაიმარჯვებდა. მე, რა თქმა უნდა, ვაფრთხილებდი, რომ არ გასულიყო, მაგრამ არ მიჯერებდა...

სიმღერებიც რაღაც სასწაულები შეურჩიეს, ჯერ იყო და ლელა წურწუმიაო, მერე ეს მაილი საირუსი...

ყველას გთხოვთ, გაავრცელოთ, რომ ყველამ ნახოს და იცოდეს თუ რა ამაზრზენი, ყალბი და უჯიშო ხალხი მუშაობს „რუსთავი 2“-ში....

მე ნამდვილად გამეცინებოდა „ჟანას ნომერზე“, რომ არ მცოდნოდა, ვინ არის და რისი გამკეთებელიცაა!

მარიამის განცხადებას **ნიკა გვარამია** გამოეხმაურა:

– „ნიჭიერს“ აკრიტიკებს ხალხი, რომელმაც ასე, საკუთარი ინიციატივით, ჯანმრთელი ადამიანი გიჟად გამოაცხადა, მხოლოდ იმიტომ, რომ მოვიდა, სისულელეები ილაპარაკა, ცუდად იმღერა და წავიდა. საოცარი ამბავია იმ ხალხისგან, ვისაც პარლამენტში მეჭიაური, ჯაჭვლიანი და თოფაძე ჰყავს არჩეული. ეს არის სწორედ ლინჩის წესი და ბრბოს ფსიქოლოგია, რასაც ახლა თქვენ შვრებით, ძვირფასო პოზიორო პოლიტკორექტულო ინტელექტუალებო.

ჟანა წითელაურთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა **„ნიჭიერის“ გუნდმაც:**

– სახალხო პროექტი „ნიჭიერი“ მის ერთ-ერთ მონაწილეზე, ჟანა წითელაურზე განმარტებებს აკეთებს. დილიდან მარიამ შოშიაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჟანას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, ამით ისარგებლეს პროექტის შემქმნელებმა და ჟანა საცინად აიგდეს.

მარიამის ბრალდებებს „ნიჭიერის“ გუნდმა სპეციალური განცხადებით უპასუხა:

– გვინდა გამოვეხმაუროთ ჟანა წითულაურის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს.

როგორც მისი მეგობარი აცხადებს, ჩვენს



თანამშრომელს ჟანა უნახავს ბანკში და შემდეგ მოიყვანა „ნიჭიერში“.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჟანა წითელაური თავისი ფეხით მოვიდა „ნიჭიერის“ პრექასთინგზე.

უფრო დეტალურად: „ნიჭიერის“ პრექასთინგების დროს, ის სავარაუდოდ იმყოფებოდა რომელიღაც გადაცემის ჩაწერაზე დამსწრედ და იქიდან გამოსულმა გაიგო „ნიჭიერის“ პრექასთინგის შესახებ, ჰკითხა დაცვას, სად უნდა მოსულიყო. კოორდინატორმა მიასწავლა ადგილი, სადაც ტარდებოდა პრექასთინგი, როგორც ზოგადად ხდება ხოლმე.

პრექასთინგზე მოსულმა, მან განაცხადა, რომ არის მომღერალი, მოდელი, მოცეკვავე და დიზაინერი და თავისივე სურვილით გამოვიდა „ნიჭიერში“, როგორც მომღერალი.

რაც შეეხება რეპერტუარს, საბოლოო სიტყვა ყოველთვის ეკუთვნის კონკურსანტს, რა სიმღერას შეასრულებს ან საერთოდ მიიღებს თუ არა მონაწილეობას პროექტში.

*ნიჭიერის გუნდი.*

# 9 ქართველმა საერთაშორისო კონკურსზე ერთდროულად გაიმარჯვა

ტენერიფას საერთაშორისო კონკურსზე 9 ქართველმა კონკურსანტმა ერთდროულად გაიმარჯვა და ყველამ საპრიზო ადგილი დაიკავა. 224 მონაწილეს შორის საუკეთესოებად ქართველები დასახელდნენ.

კონკურსში მონაწილეობდა 224 მონაწილე. ყველა ქართველი გახდა პირველი და მეორე პრემიის ლაურეატი თავიანთ კატეგორიებში...

**პრემიები და პრიზები ასე გადანაწილდა:**

**პირველი პრემია** – ნანა გორგოძე – ქუთაისი; **პირველი პრემია** – ლიზი ბასილაძე – ქუთაისი; **პირველი პრემია** – თამაზ მჟავანაძე – ბათუმი; **პირველი პრემია და 10 დღე გრან კანარიაზე დასვენება** – ნათია ჯაჯანაშვილი – თელავი; **პირველი პრემია და 20.000 ევრო** – სტოკჰოლმში სწავლის უფლებით მიენიჭა მევიოლინე ვიტალი კენჭაძეს – ქუთაისი;

**მეორე პრემია** – კესო ლეფსაია – სენაკი; მეორე პრემია და შვედეთის მეფესთან კონცერტი, ნობელის პრემიის დარბაზში – ლილე ემნაძე – ქუთაისი; **მეორე პრემია და 10 დღიანი დასვენება ტენერიფეზე** – მარიზა აფხაზავა – ბათუმი; **მეორე პრემია** – ლანა გუნია – თბილისი; ნანა დოლონაძე – **კონკურსის საუკეთესო აკომპანიატორი!**

საქართველო, გილოცავ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო,**
**გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი**
**ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის,**
**საქართველოს წარჩინებული მასწავლებლის**

## ლამარა შალვას ასულ ჩხეიძის



გარდაცვალებას.

ლამარა ჩხეიძე დაიბადა 1929 წელს. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და განაწილებით მუშაობა დაიწყო გაგრის პედაგოგიურ ტექნიკუმში მასწავლებლად, სადაც გაიცნო ვალერიან ნაჭყებია და მასთან ერთად 1953 წელს შექმნა შესანიშნავი ოჯახი.

1954 წლიდან ლამარა ჩხეიძე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადადის გალის რაიონში, სამუდამოდ მკვიდრდება იქ და მუშაობას იწყებს ჯერ ჭუბურხინჯის №1 საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ ქალაქ გალის №4 საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ. როგორც უგანათლებულესი, მაღალი ინტელექტითა და პედაგოგიური ნიჭით, გამოცდილებით გამორჩეული, გადაჰყავთ გალის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტად, შემდეგ ამავე განყოფილების სასკოლო ინსპექტორად.

მრავალშვილიანი დედა ერთმანეთს შესანიშნავად უთავსებდა ოჯახის, შვილების მოვლასაც და წარმატებულ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. მიუხედავად უდიდესი ტრავმისა, რომელიც ერთადერთი ვაჟიშვილის რამაზის დაღუპვით ჰქონდა მიღებული, არასდროს აურიდებია თავი სამსახურებრივი მოვალეობისათვის, არასდროს შესულა გაკვეთილზე მოუმზადებელი და არავისთვის, მათ შორის საყვარელი ქალიშვილებისთვისაც მოუხვევია თავზე თავისი სადარდებელი. ყველას საუკეთესო განათლება მისცა და საზოგადოების ღირსეულ წევრებად აღზარდა.

აფხაზეთის ომმა ლამარა მასწავლებელი იძულებით განაშორა თავის საყვარელ რაიონს, მშობლიურ სახლ-კარს, საფიცარი შვილისა და საყვარელი მეუღლის საფლავებს. პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებამ დევნილობაშიც განაგრძო ზრუნვა აფხაზეთიდან, გალის რაიონიდან განდევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლებაზე. აქაც უმუხთლა ბედმა. სრულიად ახალგაზრდა ასაკში მეორე შვილიც – ნანაც გამოაცალა ხელიდან ბედისწერამ.

ლამარა ჩხეიძე არასდროს ყოფილა მიმდევარი ტიტულების, ჩინ-მედლების, წოდებების. დარდისგან თმაგათეთრებული, კდემამოსილი, სამაგალითო მუდამ გრძნობა უდიდეს სიყვარულსა და დაფასებას საყვარელი მოწაფეებისგან და მოწაფეთა მოწაფეებისგან. როგორც აღმზრდელმა, საუკეთესო მასწავლებელმა, დადებითი ადამიანური თვისებებით აღსავსე კეთილშობილმა ქალბატონმა სიცოცხლეშივე აიგო სიყვარულის ძეგლი ყველა გალელის, ყველა ჭეშმარიტი სამურზაყანოელის გულში. ეს კი ნებისმიერ ჯილდოს აღემატება.

მშვიდად განისვენოს ლამარა მასწავლებლის სულმა სამარადისო სასუფეველში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 4 ნოემბერი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 02.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** ტ/სერ. "**ანგელოზის სახე**" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**გრაფინია ჰონკონგიდან**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **21.58** "კომუნიკატორი" **22.00** მხ/ფ "**მოტყუებული**" (კ.ისტვუდი) **23.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩი. **01.40** სპორტული გადაცემა **02.10** მხ/ფ "**მერკური საფრთხეშია**" (ა.ბოლდუინი)

**08.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "დრაკონების მუზეუმი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ლურჯი დუნაი და გარეული ცხენები" **11.00** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **12.00** მხ/ფ "**ბიჭუნა წყალზე**" **14.00, 22.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **16.00** დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი ბერების კვალდაკვალ" **18.00** დ/ფ "როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა". **20.00** "მოამბე" (**5** ენებზე) **23.00** "ნამდვილი დრო" **23.40** **ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" ჯგუფური ტურნირი

**06.00** სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **3** სერ. **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **3** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ "**დარტანიანის ქალიშვილი**" (ს.მარსო) **02.55** მხ/ფ "**ლოლუა მაიამიდან**"

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქრისტიანული ხელოვნება **11.15** ბავშვები მუზეუმში **11.30** დ/ფ **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ისტორიის გაკვეთილი **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ასპენიუმი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.20** კონცერტი **17.00** დ/ფ **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ამაღლება**" **20.40** ძილი ნებისა "ღვთისმშობლის ხატი-ხელობის სწავლა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ივერიის ეკლესია (ღვთის სახლი) **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.30** დ/ფ **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "დრაკონებზე მონადირენი" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05** **სერიალი "სხვისი სხეული"** **11.05** **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "მონიტორი" **16.05** **სერიალი "ტატიანა"** **17.05** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.05** **სერიალი "ნადირობა"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** ქართული **სერიალი "ჩვენ გვერდით"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** **სერიალი "ვანგელია"** **1.30** **სერიალი "ტატიანა"** **2.15** **სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**4 ნოემბრისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3987 |
| ევრო | 2.6441 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.7122 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7316 |

**ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისთვის**




# მამუკა გორგოძე მსოფლიო თასის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა

**მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ საერთაშორისო რაგბის მესვეურმა მსოფლიო რაგბის 2015 წლის გამორჩეული პერსონები დაასახელა.**



დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ინგლისი 2015-ის გენერალურმა სპონსორმა სოსიეტე ჟენერალმა მსოფლიო თასის სიმბოლური გუნდი გააცნო სარაგბო სამყაროს. სასიხარულოა, რომ 15 უძლიერეს მოთამაშეს შორის მეექვსე ნომრის პოზიციაზე ბორჯღალოსნების კაპიტანი მამუკა გორგოძე მოხვდა.

შეგახსენებთ: გორგოძე ინგლისში გამართულ მსოფლიო თასზე ორ შეხვედრაში დასახელდა საუკეთესო მოთამაშედ: ტონგასთან მოგების შემდეგ და მსოფლიო თასის მომავალ გამარჯვებულ ახალ ზელანდიასთან მარცხისას.

**სოსიეტე ჟენერალის მსოფლიო თასის სიმბოლური გუნდი ასე გამოიყურება:**

15.აიუმუ გორომარუ (იაპონია), 14.ნეჰე მილნერ-სკადერი (ახალი ზელანდია), 13.კონრად სმიტი (ახალი ზელანდია), 12.მეტ გიტო (ავსტრალია), 11.ჯულიან სავეა (ახალი ზელანდია), 10.დენ კარტერი (ახალი ზელანდია), 9.გრეიგ ლეიდლოუ (შოტლანდია);

1.მარკოს აიერსა (არგენტინა), 2.სტივენ მური (ავსტრალია), 3.რამირო ერერა (არგენტინა), 4.ებენ ეცებეთი (სამხრეთი აფრიკა), 5.ლეონე ნაკარავა (ფიჯი), 6.მამუკა გორგოძე (საქართველო), 7.შაკ ბურგერი (სამხრეთი აფრიკა), 8.დევიდ პოკოკი (ავსტრალია);

**მსოფლიო რაგბიმ წლის შემაჯამებელ ნომინაციებში საუკეთესოებად დაასახელა:**

**წლის მოთამაშე:** დენ კარტერი (ახალი ზელანდია)

**წლის მწვრთნელი:** მაიკლ ჩეიკა (ავსტრალია)

**წლის გუნდი:** ახალი ზელანდია

**წლის აღმოჩენა:** ნეჰე მილნერ-სკადერი (ახალი ზელანდია),

წლის აღმოჩენის ნომინაციაში ქართველი ვასილ ლობჟანიძეც იყო, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა მორაგბეა, ვისაც მსოფლიო თასზე უთამაშია.

**მ. ჟ.**

# ლევან კობიაშვილი: „ქართულ ფეხბურთს 40-50 მილიონის არაფერი ეტყობოდა“



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ლევან კობიაშვილი საქართველოს პარლამენტში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრებს შეხვდა.

კობიაშვილმა ქართულ ფეხბურთსა და ფეხბურთის ფედერაციაში არსებულ პრობლემებს ხაზი კიდევ ერთხელ გაუსვა. სფფ-ს პრეზიდენტმა დეპუტატების კითხვებს პასუხები ამომწურავად გასცა.

დეპუტატებმა განსაკუთრებული ინტერესი საარჩევნო დელეგატების რაოდენობასა და აღმასკომის წევრების რაოდენობაზე გამოხატეს.

**ლევან კობიაშვილი:**

– წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც ვამბობდი, რომ ქართული ფეხბურთის ბედი 35 სუბიექტს არ უნდა გადაეწყვიტა. სურვილი მაქვს, რომ მომავალში სუბიექტების რაოდენობა გაიზარდოს. საარჩევნო სისტემაც სრულიად გაუმართავი იყო და ჩვენ უამრავი ხარვეზი ვნახეთ. ამ მიმართულებითაც ვეცდებით მდგომარეობის გამოსწორებას.

აღმასკომის წევრების რაოდენობაზე საბოლოოდ შეთანხმებულები არ ვართ. ახლანდელი წესდების თანახმად, აღმასკომში 18 წევრია, მაგრამ მინდა, რაოდენობა შეიცვალოს და წევრების რაოდენობა შემცირდეს.

კობიაშვილმა ასევე ისაუბრა გარიგებულ მატჩებსა და მისი აღმოფხვრის გზებზე.

– უეფადან ფეხბურთის ფედერაციაში წლების მანძილზე მოდიოდა ანგარიში, რომელიც ადასტურებდა, რომ ქართულ ფეხბურთში გარიგებული მატჩები არსებობდა. ფედერაცია კი ამ პრობლემის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებდა და დაუსჯელობის სინდრომი გააჩინა.

დამიჯერეთ, ასე არ გაგრძელდება და ყველა დაისჯება, ვინც გარიგებულ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას ან დაუკვეთავს.

კობიაშვილის თქმით, სერიოზული პრობლემაა დავალიანება, რომელიც სადღეისოდ სფფ-ს გააჩნია.

– სახელმწიფოდან ფული ადრეც მოდიოდა, მაგრამ არ კონტროლდებოდა. ქართულ ფეხბურთს სახელმწიფოს 40-50 მილიონის არაფერი ეტყობოდა. მოკლე პერიოდში სრულ პროგრამას წარვადგენთ, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ქართული ფეხბურთი 2016-19 წლებში და რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

უნდა მივაღწიოთ, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებს თავიანთი აკადემიები ჰქონდეთ. ასაკობრივ ნაკრებებში, რომლებიც წარმატებით თამაშობენ, სულ კერძო კლუბების აღზრდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ. კერძო კლუბები კი თითზე ჩამოსათვლელია.

**მ. ჟ.**

# „ნიჭიერი“ სკანდალში ეხვევა

*ეკა ირემაშვილი*

„ნიჭიერის“ მეექვსე სეზონი ხმაურით დაიწყო. გარდა იმისა, რომ პროექტმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა და რეიტინგების ლიდერი გახდა, პირველივე ჩანაწერის ეთერში გაშვებას სკანდალი მოყვა.

სკანდალის მიზეზი შოუს ერთ-ერთი მონაწილე ჟანა წითელაური გახდა. როგორც მისი მეზობელი და მეგობარი მარიამ შოშიაშვილი აცხადებს, ჟანას ფსიქიკური პრობლემები აქვს და ამით შოუს შემქმნელებმა ბოროტად ისარგებლეს.

**მარიამ შოშიაშვილი:**

– „ნიჭიერში“ გამოვიდა ერთი გოგო, ჟანა წითულაური, ჩემი მეზობელი. ამ გოგოს ყველაფერი დალაგებული ვერ აქვს. 15 თუ 16 წლის ასაკში დედა მოუკვდა ხელებში და ფსიქოლოგიურად ცოტა ვერ არის, არ ვაყენებ შეურაცხყოფას. საერთოდ არ აპირებდა ეს გოგო „ნიჭიერში“ გასვლას. მგონი, მე ჟანას ერთადერთი მეგობარი ვარ, არავისთან არ აქვს კონტაქტი. ცხოვრობს ბებიასთან ჩემი ფანჯრის პირდაპირ არსებულ სახლში, 75 წლის ბებიასთან ერთად. მშობლები გარდაეცვალა და ბებიასაც და შვილიშვილსაც ინახავს ბიძა, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს კიშინოვში. ამ ბიძასაც ჰყავს ცოლი და შვილები...



ჟანა წითელაური

მოკლედ, ჟანას არც დაესიზმრებოდა „ნიჭიერში“ მისვლა, რომ არა ერთი შემთხვევა: ერთხელ ბანკში იყვნენ მისული, გამოგზავნილი ფულის ასაღებად. ვიღაცამ დაინახა, შეატყო, რომ ვერ იყო, რადგან იცვამს „უცნაურად“ და დაუწყო, მე ნიჭიერის უფროსი ვარო და დარწმუნებული ვარ, ნიჭიერი გოგო ხარ, ალბათ მღერი და ცეკვავო და წამოდი, „ნიჭიერში“ ჩაგწერთო... ესეც

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## იუმორი



პოლიციის უფროსი დაკავებულ ქალებს ეკითხება:

– ვინ ხართ?

– ფემინისტები!

– რას მოითხოვთ?

– თანასწორობას!

– კი ბატონო. ორი კაცი ქვიშის კარიერში!

●●●

გოგონა დაქალებს ეუბნება:

– იცით, გოგონებო, ის მკოცნის და მეუბნება, რომ ვუყვარვარ...

– დათანხმდი, ის ხომ ჩვენი უნივერსიტეტის რექტორია...

●●●

ბიჭი გოგოსთან მივა და ეუბნება:

– გოგონი, შეიძლება გავიცნოთ ერთმანეთი?

გოგონამ შეათვალიერა და ამრეზით ეუბნება:

– შენ გინდა ჩემი გაცნობა? სარკეში არ ჩაგიხედავს?

– სამწუხაროდ, რომ ჩამიხედავს, სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, სწორედ თქვენი გაცნობა.

●●●

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, საწოლზე ყოველთვის დიაგონალურად რატომ წევხარ და ისე გძინავს?

– რა ვიცი, ასე მომწონს, საწოლი ხომ არ შეგვეტრიალებინა, იქნებ კომპასი ვარ?

●●●

გოგო ბიჭს საყვედურობს:

– საკმარისი იყო ერთი ღამე ერთად გაგვეტარებინა, რომ მაშინვე წამშალე ფეისბუქში მეგობრებიდან.

– მეგობრებთან არ ვწვები.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, 2016 წელი მაიმუნის წელი იქნება.

– აუ, რა გააწყალეს გული, ხან გველისო, ხან ვირთხისო, ღორის წელიო, ადამიანის წელი როდისღა დადგება?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რამდენი გჭირდება სრული ბედნიერებისთვის?

– ხომ იცი, რეალისტი ვარ და ჯერ ვითვლი...

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ ისევ მარტო ხარ?

– ჰო.

– კი მაგრამ, ცოლი ხომ მოიყვანე?

– ჰო, მაგრამ ვადამდე პირობითად განვთავისუფლდი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ცოცხალი ორგანიზმის აგებულების უმარტივესი ერთეული; 2. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 3. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 4. ქალაქი ნიდერლანდებში, სადაც განთავსებულია სამეფო რეზიდენცია; 5. ხეხილის ბაღი; 8. მარჯნის კუნძულის ან ატოლის შიგნით არსებული წყლის სივრცე; 9. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 12. ლიხტენშტეინის დედაქალაქი; 14. ღვინის რაოდენობის საზომი ძველებური ერთეული; 16. მონასტერი ხარაგაულის რაიონში.

**თარაზულად**: 1. კლდეში ნაკვეთი ქალაქი ქართლში; 6. ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 7. ცნობების გავრცელება რაიმეს შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 9. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 11. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 10. ჩეხური მოტოციკლეტი; 13. კვერნისებრთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი; 15. ავსტრალიური თუთიყუში; 17. კომპიუტერული თამაშების მოყვარული; 18. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 19. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. წიაღისეულის მოპოვების ადგილი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

